

# ეპრესული სამუშაოები

ISSN 1987-8729



სამაცხოვო-საინჟინერო ჟურნალი №9 (41), სექტემბერი, 2014



სამაცხოვო ხარისხის  
სერტიფიცირებული  
სამუშაოების სორტაციი  
მრავალდებულება

**ერთობლივი | რეალური და დანართი**

- სამუშაოების რეალური დანართი
- ნახავრების და ფორმა

## ჩანსაკუთრებული მასაში მოყვარული

- ჩანსაკუთრებული მასაში მოყვარული
- განვითარებული მასაში მოყვარული
- განვითარებული მასაში მოყვარული
- განვითარებული მასაში მოყვარული
- 10 ჭორის მოსავალის მიზნით მოყვარული
- განვითარებული მასაში მოყვარული
- განვითარებული მასაში მოყვარული

სამუშაოების განვითარების  
სამსახურის მიერ:

**„გრიმი“ „ტანია“**

გამოიჩინა მაღადი  
ერთობლივი და დანართი  
და სასურსათო ფარისებრის  
ნარმობაზე



ა. ვ. ს. გრიმინი  
მ 579 88 48 31  
599 50 50 67

# VALTRA

ინდივიდუალურად თქვეთვის



## ვალტრას ტრაქტორები - ა სერიის კომპაქტური მოდელები ინდივიდუალურად თქვეთვის



ოფიციალური დილერი

**WORLD TECHNIC**  
სოფტლონ ტექნიკა

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) E-mail: [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)  
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

**AG** ალიას ჯგუფი  
ლიზინგი

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ  
ტექნიკის ლინებულება ეტაპობრივად

## ნომერი თავისითავთ:



ახალი აგრარული  
საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინიციატივო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

სექტემბერი, 2014 ნელი.

№9 (41)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),  
ნუგარ ებარიძე, რეზა ჯაბაძე, მიხეილ  
სოხაძე, თამარ სანიაძე, ნოდარ ბრეგაძე,  
გიორგი ბარიაშვილი (ეგვიპტელი-  
ძეგლისტების რედაქტორის რედაქტორი),  
თამარ გუგუშვილი (მგლ. კრის. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიურები, მეცნიერებათა

დოქტორები, პროფესორები:

რევან მახარიძეიქ (თავმჯდომარე).

ნოდარ ჩხატიშვილი, გურაბ ალაქაძეიქ,  
ნუგარ ებარიძე, პატა კოლუშვილი,  
ელიად ბრეგაძე, ელიად გუგუშვილი, ზურ  
ჯევაუბეგი, ზურაბ ჯინჯხასევი, ქრისტი  
კანიაშვილი, ადოლ ტეფეშვილი, ნატო  
კაცაძე, ქუკური ქერა, კახა ლაშხი, ომარ  
თევრონიძე, ნუგარ სარჯველიძე, დავით ბე-  
დია, ოქნების ფურაშვილი, ზურაბ ლილიძე,  
კობა კობაძე, ნუკრი მემარნიშვილი.

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის

კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);

Association of Agrarian Sector Companies (ASCA)-  
საქართველოს რეგიონული ეკონომიკური  
პრიორიტეტების კლეიპითი ცნობრი, „რეგიონიკა“;

Regionica – Georgian Research Center for Regional  
Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

[www.regionica.org/jurnal.html](http://www.regionica.org/jurnal.html)

[agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეროვნული“

(ციფრული ბაზობრივი)

[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)

ახალი აგრარული საქართველო

დაკაბადონა გორგაში მასურაძემ

ეროვნული ხელმძღვანელობის

თავისუფალი პრინციპით.

The journal acts in accordance with the principles of free press.  
© სავტორო უფლება დაცულია.  
All rights reserved.

რეფერირებადა 2011 წლიდან

დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“

4



რას სთავაზობს აგროდაზღვევა  
ფარმაცებს?

ეს საკმაოდ ძვირი კვლევაა – 200  
ათასი ევრო ჯდება.



4

აგროდაზღვევის საილოზი  
აროგრამის განხორციელება

7

ქვევრების ჩაყრა

ქვევრების ჩაყრაში მახლობლად  
დიდი ქვევრისა, იქავე გვერდზედ, სა-  
ჭირო არის რომ თითო დიდ ქვევრსა  
ჩაუსოთ ახალი თითო პატარა ქოცო  
ხუთიდამ ათ ჩაფიანამდე.

22



საქართველოში ჩაის წარმოების  
დღევანდელი მდგრადებელი  
და კარსკეპტივები

სპეციალისტთა გაანგარიშებით  
დადგენილია, რომ ერთი ჰექტარი  
ჩაის პლანტაციის სრული რეაბილი-  
ტაციისათვის 7,25 ათასი ლარია სა-  
ჭირო.

12

საქართველო  
გარსებულების ვაზის ჯიშაბი

17

არსებობის  
ფის, გაზონო ნუგას,  
სუფრის ნატურალური ლინიის  
დამზადების არავითარი  
ეროვნული ტექნოლოგია არ  
არსებობის

19

კარტოფილს აამოდოს მოსხა  
შეძლებია!

20

ხელის ქაფა და სასაქონლო  
დამზადება

25

საკეპტივების  
მოვლა-მოყვანის აგროცენიკი

29

ფურის წველის წახეპის  
დასვა - სარისების რძის  
მიღების გარაციის

შურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ გთავაზობთ!

შურნალი ერთი პატარა ტული სანტივეორი სარეპლაო ფარმაცეტული  
ფირმის შემთხვევაში: შეის ეპორი გვერდზე – 60 თეთრს (მთლიანი  
გვერდი – 350 ლარი), პოლისტინია გვერდზე – 50 თეთრს (მთლიანი  
გვერდი – 300 ლარი), გრული გვერდზე – ჟაკანა ყდაზე – 60 თეთრს  
(მთლიანი გვერდი – 350 ლარი). შიდა გვერდებზე – 35 თეთრს (მთლიანი  
გვერდი – 200 ლარი).

შურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რაცენირისგანია 2009  
წლიდან. სამოცირეო სტატიის მოცულობა რეზიუმეს თანხმებით არ  
უდება აღებასთან დაკავშირდება 1,5 იმურნალით, 12-იანი შრიუფტით ცაგეზდ  
გვერდს.

შურნალის გამოწვევა შემთხვევაში არის გვერდების სააგრენტოვაში:

„ელვაჯი“ (მოს: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74); „საქართველო“ (0 (32) 2518518).  
1 წლიდან შურნალის გამოწვევა დაგიჯდებათ 24 ლარი, 6 თეთრი –  
12 ლარი.

WORLD TECHNIC  
მსოფლიო ტექნიკა

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge)



## აგროდაზღვევის საკილოტე პროგრამის განხორციელება დაიწყო

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების გართვის სააგენტომ პირველი სეზონის აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელება დაიწყო.

აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობის სურვილი საქართველოში ლიცენზირებულმა სადაზღვევო კომპანიებმა გამოიქვეს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანია ჯიპიათ ჰოლდინგს, ალდაგს, აი სი ჯგუფს, ირაოსა და ქართუს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

სადაზღვევო კომპანიები ვალდებულებას იღებენ, რომ პროექტში მონაწილე ფერმერს აგროდაზღვევის ხელშეკრულება გაუფორმონ. დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ნაწილი სადაზღვევო პოლისის გაცემისთანავე გადაიხადოს. სადაზღვევო პრემიის დარჩენილი ნაწილის გადახდას სააგენტო უზრუნველყოფს. სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსების თანხა – 30 000, ხოლო სასოფლო-სა-

მეურნეო კოოპერატივებზე – 50 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

პროგრამის ფარგლებში, დასაზღვევად მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები მიიღება, რომლებზეც წარდგენილია საკადასტრო კოდი, აზომვითი ნახაზი ან GPS კოორდინატები.

დაზღვევის პროგრამის შესაბამისად ანაზღაურებას ექვებდებარება დაზღვევის ობიექტისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია: სეტყვისგან, ჭარბი ზალექისგან, ქარიშხლისგან და საშემოდგომო ყინვისგან.

აგროდაზღვევის პროგრამის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

პროექტის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარია. აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამის განხორციელება 1-ლი სექტემბრიდან დაიწყო და ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

## რას სთავაზობს აგროდაზღვევა ფერმერებს?

ზარალის ასანაზღაურებლად ფიზიკური პირისათვის გამოიყოფა 30 ათასი ლარი, ხოლო კოროაციაშისათვის – 50 ათასი ლარი.

1 სექტემბრიდან ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა, რომელიც 2015 წლის 1 სექტემბრამდე იმუშავებს. როგორც სოფლის მეურ-

ნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ მედიასთან საუბრისას განაცხადა: „ეს საპილოტე პროექტია, რომელიც მოიაზრებს გარკვეულ დაფინანსებას აგროდაზღვევის შემთხვევაში. შესა-

ბამისად, აგროდაზღვევა გავრცელდება ყველა პროდუქტზე და სუბსიდირება 70%-დან 90%-მდე, ზოგ შემთხვევაში კი – 95%-მდეც განხორციელდება. თანადაფინანსებას სახელმწიფო განახორციელებს”.

2014 წელს პროგრამის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარია. პროგრამაში ჩაერ-

თვებიან ის სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც ამის სურვილი ექნებათ. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე „აგროდაზღვევის“ პროდუქტი მხოლოდ ორ კომპანიას „ჯიპიაი პოლინგს“ და „ალდაგი ბისიაის“ გამოაქვს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აგროდაზღვევა ახალი ხილია და ამ მიმართულებით სადაზღვევო კომპანიები მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში გააქტიურდნენ, ამიტომ ეს სფერო ჯერჯერობით სულაც არ არის მომებიანი სადაზღვევო კომპანიებისათვის. ამავე დროს, დაზღვევის მიმართ უნდობლობა გლეხებსა და ფერმერებს შორისაც შეინიშნება.

### გიგლა აგულაშვილი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:

„საპილოტე პროგრამა ჩვენი კომიტეტის წევრებთან და სადაზღვევო სფეროს წარმომადგენლებთან ერთად შევიმუშავეთ. სასიხარულოა, რომ ამ პროექტით დაინტერესებულია ერთ-ერთი გერმანული ბანკი, რომელიც განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის წარმომადგენლია და რომელიც აქ შემოსვლას აპირებს. ჯერჯერობით ისინი კვლევას ატარებენ და ამ კვლევის შემდეგ გადაწყვეტინ, რამდენად საფუძვლიანია მათი ინტერესი ჩვენი სადაზღვევო ბაზრისადმი. ვფიქრობ, რომ ეს კვლევა სულაც არ არის შემთხვევითი. როგორც ჩანს, ისინი ხედავენ ამ ბაზრის განვითარების პერსპექტივებს და მათვის მისაღებია ის, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში ხდება. ეს საკმაოდ ძირი კვლევაა – 200 ათასი ევრო ჯდება. რა თქმა უნდა, ამ კვლევის შედეგები ჩვენთვისაც საინტერესოა და მათთვისაც. ვფიქრობ, რომ თუ ისინი ბაზარზე შემოვლენ, ეს კიდევ უფრო გააუმჯობესებს მდგომარეობას ქართულ სადაზღვევო ბაზარზე. ეს ამ ბანკის წარმომადგენლებს მისცემს სტიმულს, რომ უფრო მეტი ისაინტერესო პროდუქტი შესთავაზონ მომხმარებელს“.

### გაგრძელდება თუ არა ეს პროგრამა ერთი წლის შემდეგ?

– ეს არის პროექტი, რომელიც სექტემბრიდან ამოქმედდება და ითვალისწინებს ფერმერთა ძალიან დიდი ნაწილის სატკივარს, რომ მათ რო-


გორდაც დააზღვიონ თავისი მოსავალიც და ქონება. ჩვენი გლეხები და ფერმერები ყოველწლიურად ზარალდებიან სტიქიური მოვლენების გამო, აგროდაზღვევა კი დაფარავს მათ ზარალს, თუმცა, შესაძლოა ყველა სახის ზარალი ვერ დაფაროს. ზარალის ასანაზღაურებლად ფიზიკური პირისათვის გამოყოფილი იქნება 30 ათასი ლარი, ხოლო კოოპერატივისათვის – 50 ათასი ლარი. სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება მოხდება სახელმწიფოს მიერ, სუბსიდირების პროცენტი საკმაოდ მაღალია – საშუალოდ 80-დან 90-მდე, შეიძლება მეტიც იყოს, იმის მიხედვით, თუ რომელი სახეობის პროდუქტის დაზღვევა ხდება. საპილოტე პროექტი სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება. ჩვენ დავაკვირდებით, მივიღებთ გამოცდილებას, ვნახავთ მასში რაიმე ხარვეზები ხომ არ არის, ან რისი გაუმჯობესება შეიძლება და პარალელურად დავინებთ კანონპროექტის განხილვასაც, ინიციორებას კი პარლამენტში მოვახდენთ, რადგან სადაზღვევო სექტორის წარმომადგენლებს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებსაც მიგვაჩნია, რომ გრძელვადიანი რეგულაციების კანონით დარეგულირება გაცილებით სტაბილურ ვითარებას შექმნის ამ სფეროში.

– კიდევ რა სფეროს შეეხება ეს პროგრამა?

– მართალია, ეს აგროდაზღვევის პროექტია, მაგრამ ჩვენ ასევე ვმუშაობთ საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციაზეც. მომავალი წლიდან სეტყვის საწინააღმდეგო სისტემებიც უნდა შეიქმნას. ეს ყველაფერი რისკებს შეამცირებს, მაგრამ პრობლემა მანც რჩება და ამიტომ დაზღვევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია რისკებისაგან თავის დასაცავად. სახელმწიფო ფერმერს სთავაზობს დაზღვევას და საკმაოდ მსუყე სუბსიდირებას, რომელიც ზარალის მიყენების შემთხვევაში 75%-ზე მაღალია, ზოგ შემთხვევაში კი ზარალი 90%-საც დააფინანსებს. იმედია, რომ ფერმერებიც დაინტერესდებიან ამ პროექტით. ამასთან, აგროდაზღვევა სულაც არ ნიშნავს, რომ მხოლოდ განადგურებული მოსავალი უნდა ანაზღაურდეს, აქ ლაპარაკია მეტი ცოდნის, უფრო მეტი ტექნოლოგიური მიღწევის შემოტანაზე სოფლის მეურნეობაში. ლაპარაკია აგროვადების დაცვაზე და საერთოდ, აგროულტურის გაუმჯობესებაზე ქვეყანაში. ერთი წლის განმავლობაში დავაკვირდებით და მერე გადავწყვეტთ, პროგრამა ამ ფორმით დარჩება თუ შეიცვლება. ყველაფერი შეთანხმებულია სადაზღვევო სფეროს წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან, საპილოტე პროექტი მთავრობამაც მოიწონა და ის სულ მაღალე ამოქმედდება.

**BPN**





# როგორ საოცრად წააგავს ეს ორი სიტყვა ერთმანეთს - რთველი და ქა-რთველი

რთველი შარშანდლის მსგავსად ცლეულსაც ნააღრევად იწყება, რაც დაინის ხარისხისათვის სახარპილო ნააღვილად არ არის, თუმცა ამა-ში გათვითონებისას საძმის ძირიული ცოდნა სტილურია. მავანთათ-ვის ხარისხისანი ზურძენი ავტომატურად მაღალგარიბა ზურძენს ნიშნავს, არადა ზურძის შაბარი მხოლოდ ერთ-ერთი კომარნეობით, რაც მოსავლის მაღალ ხარისხს განაპირობებს.

ქვეყანაში რთვლისათვის სამზადი-სი აქტიურად მიმდინარეობს, თუმცა, სამნეურაოდ უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელი მოსავალი, განსაკუთ-რებით კი დასავლეთ საქართველო-ში გაზაფხულ-ზაფხულში არახელ-საყრელი ამინდების, წვიმებისა თუ გვალვების გამო მცირეა. გაზაფხუ-ლის სიცივეებისა და წვიმების გამო ვაზს სოკოვანი დაავადებებიც მიე-ძალა და ვენახები ჭრაქით მასობრი-ვად დაავადდა, ამიტომ უპირატესად იმერეთში და ასევე რაჭა-ლეჩხუმშა და აჭარაში ყურძნის მოსავალი წინა წლებთან შედარებით ნაკლებია. და-ავადებების მოძღვება გვალვინმა ზამთარმაც განაპირობა, რაზეც გარ-კვეული პროგნოზი უურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ გასული წლის აგვისტოს ნომერში გავაკეთე. მთავან აჭარაში კი დაავადებების გა-აქტიურებას გაზაფხულის ყინვებიც დაემატა. შეუძლებელი ერთ მეტად მტკივნეულ პრობლემაზე არ შევ-ჩერდეთ, რაც პირდაპირ მიუთითებს ჩვენი ქვეყნის დეინის კულტურის დონეზე. საქმე ეხება კახეთში და ასე-ვე დასავლეთ საქართველოს ზოგი-ერთ რეგიონში მოკრეფილი ყურძნის ლვინის ქარხნებამდე ტრანსპორტი-რებას. უმეტეს შემთხვევაში მოკრე-ფილი ყურძნი სატვირთო მანქანის ძარებით გადააქვთ, რაც მომავალი დვინის ხარისხს სერიოზულ პრობ-ლემას უქმნის. საქმე ის გახლავთ, რომ სატვირთო ავტომანქანების ძა-რაზე დაყრილი ყურძნი ტრანსპორტი-რების დროს იჭყლიტება, მტკერით ბინძურდება, ხშირად ყურძნის ნვიმის

წყალიც დასდის. ამის გარდა ხდება ყურძნის ჩახურებაც. მანქანის ძარა-ზე უმეტესწილად ყურძნები რეინას ეხება. ხშირად რთვლის ნინ ძარები იღებება, მაგრამ ამგვარი საღებავი კიდევ უფრო დიდი პრობლემაა, რად-გან უხარისხობის გამო მისი ყურძნ-თან შეხება არ შეიძლება. გადაზიდ-ვისას, მეტადრე შორ მანძილზე, რო-გორც ითქვა, ყურძნები იქყლიტება, ხოლო დაჭყლეტილი ყურძნის ტკბილი ზოგჯერ დუღილსაც კი ინყებს. ამ პროცესს სხვა სირთულეებიც ახ-ლავს. აქედან გამომდინარე გასაკვი-რიც ალარ არის, რომ საქართველოს ლვინის ქარხნების აბსოლუტურ უმ-რავლესობაში დაყენებული დვინო ყაზახეთისა თუ მისი მსგავსი სხვა რომელიმე ქვეყნის ბაზრის ფარგ-ლებს ვერა და ვერ გასცდა. თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ ზოგან და მე-ტადრე მცირე მარნების შემთხვევაში ეს პრობლემა უმეტესწილად საკმაოდ ეფექტურად არის გადაჭრილი. საქმე ეხება სპეციალურ პლასტმასის სარ-თვლო ყუთებს, რითაც მოკრეფილი ყურძნის ტრანსპორტირება ეფექტი-ანად და, რაც ყველაზე მეტად მნიშვ-ნელოვანია, უსაფრთხოდ ხდება. ამგ-ვარი სართვლო ყუთებით უკვე ბევრი სარგებლობს, რაც ნამდგილად მისა-სალმებელი ტენდენციაა. ამ საქმეს დადებითად ისიც ნააღგა, რომ სართ-ვლო ყუთების დამზადება რამდენიმე წელია უკვე ჩვენშიც დაიწყეს.

აქვე ორი სიტყვით მინდა შევეხო რთვლის ტრადიციებს საქართველო-ში: თუკი შეიძლება წელინადის რო-მელიმე პერიოდი ბუნების დღესასწა-

ულს შევადაროთ, ეს ალბათ, უპირვე-ლესად, შემოდგომაა, ხოლო რთველი შემოდგომის გვირგვინია. ჩვენი წინაპრები რთვლისთვის სწორედ ისევე ემზადებოდნენ, როგორც რომელი-მე საკულესიო დღესასწაულისთვის და ეს არც არის გასაკვირი, რადგან რთველი თავის მხრივ ღვინოს უკავ-შირდება, ღვინო კი ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია!

ადრიან დილით ლამაზ ტანისა-მოსში გამოწყობილი ქართველი კა-ცი დახუნძლულ ზვრებში შევიდოდა და რთველი იზყებოდა – ეს უძე-ლესი და თავის შინაარსით საოცა-რი ადათ-ნესია. არსებობს საგანგე-ბო ლოცვაც, რომელსაც მოძღვარი რთვლის დაწყების ნინ კითხულობს და ეს ლოცვა საქართველოში დღემ-დე აღველინება.

თუ ბარაქიან-მადლიან კახეთში გაშლილ, თვალუნვდენელ ზვრებში იკრიფება ვაზი, დასავლეთ საქარ-თველოს ულამაზეს მხარეში – კოპ-ნია გურიაში ხეზე აშვებულ ვაზებზე, ანუ ბაბილოზე სპეციალური მოგრ-ძო და უყურო კალათით – გიდელით კრეფენ ყურძნებს. საოცარი სანახა-ვია რთვლის დროს გურია. ამ დროს გურულები სპეციალურ სიმღერას – „აგიდელას“ მღერიან. ეს სიმღერა საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში მხოლოდ რთველის დროს ისმოდა და ისმის დღესაც. უძველესი რიტუალის გადმონაშის უნდა ნარმოადგენდეს ის, რომ აღმოსავლეთში და მეტადრე კახეთში რთვლის დროს წესისამებრ იკვლებოდა შავი თიკანი. დღემდე ეს წესიც შენარჩუნებულია.

ყურძნის მწიფე მტევნების სტილი-ზებული გამოსახულებებით ჩვენი წინაპრები ქართული ტაძრების კედ-ლებს აჩუქურთმებდნენ და ხატავდ-ნენ. მართლაცდა რით უნდა შეემცო ქართველ ადამიანს მისთვის ყველაზე საყვარელი და სანუკვარი შენობა –

ტაძარი, თუ არა ვაზისა და ყურძნის ჩუქურთმებითა და ფრესკებით?! ამი-ტომაც ქართულ სატაძრო არქიტექტურაში ძალზე ხშირია ვაზი და ყურძნის სავსე, ჩაშაქრებული მტევნები. სვეტიცხოველი, ბაგრატი, ბარაკონი, ნიკორწმინდა, ანანური, წილკანი, სამთავისი, ფუძნარი, მარტვილი, ტბეთი, ალავერდი და სხვ. უამრავი ტაძრის ჩამოთვლა შეიძლება, რომელთა კედლები მოხატული და მოჩუქურთმებულია ვაზის სიმბოლიკით, მაგრამ ჩამოთვლილთაგან მაინც გამორჩეული ანანურის ტაძრია, რომლის სამხრეთისა და დასავლეთის კედლები გასაოცრადა მოჩუქურთმებული და შემკული ყურძნით დახუნძლული ვაზით – სიცოცხლის ხით... ანანურის ტაძრის ეს შემკულობა აუცილებლად

ყოველმა ქართველმა უნდა ნახოს!

რთვლით ადამიანის მთელი წლის მუხლჩაუხრელი შრომა სრულდება. ამბობენ, კაცმა ყურძნენი რომ მოინის, ყოველ ვაზის ძირთან მთელი წლის განმავლობაში 40-ჯერ მაინც უნდა მივიდესო. ალბათ სწორედ ამას გადმოსცემს ხალხური პოეზის ამ პატარა ლექსშიც:

„ვაზო შვილივით ნაზარდო,  
მოვკვდები მე შენს ძირშია,  
შენით ვარ მხნე და გულადი,  
იმედო გასაჭირშია.“

რთველი და ქართველი – დააკვირდით, თუ როგორ საოცრად წააგავს ეს ორი სიტყვა ერთმანეთს – რთველი და ქა – რთველი.

და მაინც, რას წარმოადგენს რთველი ქართველი კაცისათვის? ვიღაცის-

თვის შესაძლოა ეს იყოს უბრალოდ უძველესი რიტუალი, ზოგისთვის იგი მხოლოდ გარკვეული შემოსავლის წყარო ან უბრალოდ შემოდგომის ერთი ლამაზი დღეა, რომელიც ქართული სუფრით მთავრდება. ერთი კია, – რთველი ჩვენი ქვეყნის – საქართველოს ის განუყოფელი ნაწილია, ურომლისოდაც საქართველო საქართველო ვერ იქნება, ხოლო ქართველი კი ქართველი.

ჩვენ კი იქამდე გვერქმევა ეს გასაოცარი შინაარსის სიტყვა – ერი, სანამ აქ, საქართველოში ვაზის მოვლა-გაშენება, რთველი, ღვინის ქართულად დაყენება და მრავალუამიერი არ მოისწოდება.

**მოწვევი პარისავალი,**  
**მცხეთა, 2014 წ.**

## სპეციალისტის რჩვა

# ქვევრების ჩაური

ქვევრების ჩაურის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მარნის მშენებლებისას, რაღა თქმა უდეა, სხვა ზველა, თუდაც ცვრილებან დეტალთან ერთად. მიზვაჩინა, რომ ეს მომენტი არაერთ ცვრილებან დეტალს მოიცავს და ამიტომაც გთავაზოგთ ჩვენს მცირედ მოსაზრებას ყოველივე ახაზი. აპვე უდეა ითქვას, რომ ესაა მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთაშემსახური ეთონი ქვევრების ჩაურისა.

სანამ აღნიშნულ საკითხს ასე თუ ისე განვიხილავდეთ, გთავაზობთ ამონარიდს მეტად საინტერესო წიგნიდან: „მევენახეობა და ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება ხელომძღვენელობისათვის კახური ღვინის მაყენებლებისა“ თ.ლ. ე. ჯორჯაძე, (თბილისი, 1876.).

ქვევრები როგორ უნდა ჩაიყაროს და ისხდეს მინაში

„287.- ქვევრები უნდა ისხდეს მინაშია ღრმათა, ასე რომ ქვევრის პირიდამ ზემოთა მინის პირამდისა იყოს სიმაღლე არა ნაკლები ნახევარ არშინისა და რაც ამაზედ მეტი სიმაღლე ექმნება ისა სჯობია, ამისათვის რომ ღვინოს უფრო კარგად შეინახამს, რადგან ჰაერი არ ჩაუვა ქვევრსა და არც ქუხილის ხმა მიუა, რაკი ღრმათ იქნება და ბევრი მინა ეყრება ზემოდამა. ღვინოს თუ ჰაერი არსაიდამ ჩასდის, ის დიდ ხანს შეინახება.“

ქვევრის გარეთა კედელი ჩაურაშია უთოვოთ კირითა და ქვით უნდა ამოუშენოთ და ისე ამოავსოთ მარანი ქვიშითა, ამისათვის რომ ქვევრი რამდენიც ირეცხება და ძველდება, იმდე-

ნად იმის კედლები უფრო და უფრო თხელდება, გარეცხაში კაცის სიმძიმისაგან ანუ რეცხისაგან მალე ჩატყდება და ან ღვინის სიმძიმა გახეთქამს მეტადრე მინის ნძრევის დროსა. ამისათვის ქვევრს გარედამ რომ კირი მოჭირებული ექმნება იმის კედელსა გაამაგრებს და მაშინ რაც უნდა რომ გათხელდეს ქვევრის კედელი, კირისაგან გამავრებული იქმნება, რომლისაგამო გარეცხაში ანუ ღვინის ჩასხმაში ვეღარ გასქდება; მარტო მინაში





კი თხელი ქვევრის კედელი ადვილათ გასქდება. ხოლოთ კირითა ძალიან სქლად არ ამოუშენოთ კედელი ანუ სულ მარნის ქვევრები ქვიშის მაგიერ კირითა და ქვით არ ამოავსოთ, თორემ ნოტიო აღარ ექმნება და კირის ძალა და თვისება ღვინოს დასწომს ყოველთვისა. ამასთან რადგან ქვა მძიმე არის, ამისთვისა თუ იშოებოდეს ნაცვლათ ქვისა ახმარეთ კირშა ქვევრების ნატეხები, კრამიტისა და აგურისა, რადგან ესენი ქვაზედ მსუბუქი არის და უკეთუ ესენი არ იშოებოდეს, მაშით თხელი ქვები იხმარეთ ანუ პატარები, რომ კირი უფრო მეტი იყოს და ქვის სიმძიმე ცოტა.

უკეთუ ქვევრი ჩაკირული არარის, მიწის ნძრევაში დიდი ქვევრი ღვინით სავსე, სიმძიმისა გამო ღვინისა, ადვილათ გასქდება და ღვინო დაიღვრება. ეგრეთვე ახალ ჩაკირულ ქვევრსა უნდა გაფრთხილება მიწის ნძრევაში, ამისთვის რომ, უკეთუ ძირში ანუ გვერდზედ ნაშალი მიწა ექმნება, მიწის ნძრევაში გატყდება ქვევრი, რომლისაგამო კედლის კირი და ქვა გაიწევს განზედ და ქვევრის კედელს გაგლეჯამს და თან გაიყოლებს და როდესაც დაჯდება ქვევრები და იმის მიწა და კარგათ გამაგრდება მიწაშია, მაშინ კი ველარას დააკლებს მიწის ნძრევა ჩაკირულ ქვევრსა.

ქვევრების ჩაყრისა მახლობლად დიდი ქვევრისა, იქვე გვერდზედ, საჭირო არის რომ თითო დიდ ქვევრსა ჩაუსოთ ახალი თითო პატარა ქოცო ხუთიდამ ათ ჩაფიანამდე, ამისთვის რომ ყურძის დანურვაში, როდესაც ტკბილს დიდ ქვევრში მიუშვებთ ის არ უნდა აივსოს პირამიდისა, რადგან

ქვევრში ჭაჭის ადგილიც უნდა დარჩეს და როდესაც დაიღულებს მაჭარი, მაშინ ის დიდი ქვევრი, რადგან უნდა გადაესოთ მაშინვე შემდეგ ღულილისა და ჭაჭის დაბლა ჩანევისა, მისთვის რომ გადუღებამდე ნაკლულათ ქვევრში ღვინო არ ნახდეს და ანუ დროსა გადალებისა ღვინისა შორის ქვევრიდამ რომ არა ზიდოთ ღვინო, იმ დიდი ქვევრის გადასავსებათ, რომლისაგამო ჯაფას გარდა არ შეიძლება რომ ცოტა მაინც არ დაიღვაროს ღვინო გზაშია, ამისათვისა იქვე ქვევრს ახლო ამოილებთ ქოცოდამ მაჭარსა ანუ ღვინოსა და ისე უზარალოთ და უჯაფოდ დაასხამთ და გადაავსებთ დიდს ნაკლულ ქვევრსა. ეს ქოცოები ყოველთვის საჭირო არის, მეტადრე ღვინის თხლიდამ გადაღებაში, რადგან ქვევრს დააკლდება ხოლმე მაშინ ღვინო თხლის სამაგიერო და იმ ქოცოდამ გადაავსებთ, რომელშიაც რასაკვირველია უნდა იყოს ეგრეთვე დაყენებული მაჭარი გადასავსებლათ ღვინისა.“

როგორც ვნახეთ, ავტორი საკმაოდ ძირეულად განიხილავს საკითხს, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მას აღნიშნულ სფეროში საკმარი გამოცდილება ჰქონია; ეს აზრი უფრო მეტად მტკიცდება და ეჭვშეურეველი ხდება, თუკი ზემოთ დასხელებულ ნაშრომში ძირეულად გავეცნობით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული წიგნი გვევლინება პირველ სახელმძღვინელოდ ქართული მეღვინეობის სფეროში. დარგში ცალკეული სტატიების სახით გაცილებით ადრეული წერილებიც მოგვეპოვება, მაგრამ იმ ხანებში ამ ყველაფრის ერთად შეკრება და ცალკე სახელმძღვანელოდ ჩამო-

ყალიბება პირველმა სწორედ ლ. ჯორჯაძემ მოახერხა, რაც იმ დროისათვის ნამდვილად დიდი მოვლენა იყო ქართულ მეღვინეობაში. ამჟამად კი მოკლედ განვიხილოთ ქვევრების ჩაყრის საკითხი. აღვნიშნავთ ერთსაც, რომ მარანში, სხვადასხვა მიზეზების გამო, შესაძლოა მხოლოდ ერთი ქვევრისათვის ამოითხაროს მიწა და მასში ჩაიფლას ქვევრი, მაგრამ ჩვენ იმ შემთხვევაზე შევჩერდებით, რასაც ახალი მარნის მშენებლობა წარმოადგენს. ამისათვის კი წინასწარ შერჩეულ სამარნე ადგილას თავდაპირველად ამოილებენ ერთიან დიდ ორმოს, რომელიც კარგად უნდა ამოინმინდოს, რათა მისი დონე ყველგან ერთი იყოს. სასურველია, თუ მარანი ისეთ ადგილას აშენდება, რომელიც დაცული იქნება წვიმის ნიაღვრებისაგან, რადგან ამ უკანასკნელმა შესაძლოა მარნის მეპატრონე დააზარალოს. ასეთი შემთხვევისათვის თავის დასაცავად მარანს იმ მხარეს, საიდანაც მოსალოდნელია ნიაღვრის მოვარდნა, უნდა გაუკეთდეს სანიაღვრე თხრილი დრენაჟით, ან ნიაღვრისაგან დამცავი ბარიერი. ორმოს ამოილების შემდეგ იჭრება საძირკველი, რაზეც შემდეგ უნდა დაიდგას მარნის შენობა. ამოჭრილ ორმოში ჯერ ჩაინწყობა ქვევრები, ორმო ამოივსება მიწით და ამის შემდეგ იწყება მარნის კედლების მშენებლობა. ქვევრები საქვევრე, ერთიან ორმოში მაშინ უნდა ჩაეწყოს, როდესაც მათ გამოევლება ცვილი, რასაც წინ უძლვის ქვევრის საგულდაგულოდ რეცხვა. ცვილის გამოსმის შემდეგ ქვევრი უნდა დადუღაბდეს კირით, ხოლო თუკი ქვევრი დიდი მოცულობისაა, იგი ქვითკირით ადგილზე უნდა ამოშენდეს. ქვევრის დადუღაბდებას წინ აუცილებებად უნდა უსწრებდეს ქვევრის დამუშავება ცვილით, რადგან გაცხელების პროცესში შესაძლოა კირის დუღაბი დაზიანდეს. საუბარია ზემოთ მყოფ და არა მიწაში ჩაფლულ ქვევრზე (ქვევრების ცვილით დამუშავებაზე და ასევე დადუღაბდებაზე უურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ წინა ნომრების მეშვეობით უკვე მოგახსენეთ ჩვენი აზრი). ქვევრების ჩასაწყობად ამოჭრილ ორმოში თითოეული ქვევრისათვის წინდანინ იჭრება მცირე, დაახლოებით 50 სმ-იანი ორმო, რომელშიც ჩაასხამენ კირის დუღაბს და შემდგომ ამისა მასში ჩასვამენ ქვევრს. ზოგიერთ ადგილას ამგვარად ამოჭრილ მცირე ორმოებში

დულაბს არ ასხამენ. ამრიგად, მთელი საქვევრე ორმო შეივსება ქვევრებით. ხმირად ქვევრებს, განსაკუთრებით კი დიდებს, საქვევრე ორმიში ამწეთი ალაგებენ. გასათვალისწინებელია, რომ წვიმის ან ნარეცხი წყლით გაუღენთილი ქვევრის კედლები ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას ხშირად ვერ უძლებს და ტყდება. ამისათვის რეკომენდებულია, რომ ქვევრი ამწეთი თუ სხვა საშუალებით გადატანილი იყოს მშრალი. სასურველია, რომ მანძილი ორმოში ჩადგმული ქვევრის მუცლიდან მეორე ქვევრის მუცლამდე იყოს 50 სმ და მეტი, თუმცალა, ეს უკანასკნელი საუკეთესო ვარიანტს ნარმოადგენს. თუკი ორ, ერთმანეთთან ახლოს მდებარე ქვევრიდან ერთ-ერთში მიმდინარეობს ალკოჰოლური ფულილი, ხოლო მეორეში კი ინახება წინა წლების მოსავლის ღვინო, ეს გარემოება ძველი ღვინის შენახვის პროცესზე უცილობლად უარყოფითად იმოქმედებს, რადგან მადულარი ქვევრი მეზობელ ქვევრში თუ ქვევრებში შენახულ ღვინოს შეათბობს და ამრიგად ქვევრში ღვინის შენახვის ბუნებრივად დაცული ტემპერატურა დაირღვევა, რასაც უცილობლად მოჰყვება ღვინის ხარისხის გაუზარესება. ამიტომაც, თუკი, რა თქმა უნდა ამის საშუალება არის, მარანს გამიჯნავენ და დასადუღებელსა და ღვინის შესანახ, დასავარგებელ ქვევრებს ერთმანეთისაგან განაცალკევებენ გარკვეული მანძილით. ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი ქვევრების გასამიჯნად მარანში გამყოფ კედელსაც აშენებენ. ეს ხერხი ღვინის ტექნოლოგიის მხრივ მეტად გამართლებულია. თუკი, რა თქმა უნდა, ამის საშუალება არის, მეტად სასურველია, რომ დასადუღებელი და დასავარგებელი ქვევრები განლაგებული იყოს ტერასულად, სადაც ზედა მხარეს ჩაყრილი იქნება დასადუღებელი ქვევრები, საიდნაც ღვინო დასავარგებელ ქვევრებში თვითიდინებით გადავა. ეს მეტად მნიშვნელოვანი პროცესი ილია ჭავჭამებაც განიხილა თავის ნარკვევში – „ღვინის ქართულად დაყენება“ თბილისი 1887. საქვევრე მინაში ჩაწყობილი ქვევრები საგულდაგულოდ უნდა გასწორდეს. როგორც უკვე ითქვა, ეს ოპერაცია არა ადამიანის თვალზომით, არამედ აუცილებლად თარაზოთი ხორციელდება. მიწაში არასწორად ჩამჯდარი ქვევრი შემდგომში დიდ პრობლემებს ქმნის ღვინის ხარისხისანად შენახვის

თვალსაზრისით. ქვევრი სწორდება ასევე მწკრივებადაც, რასაც ასევე ენიჭება გარკვეული მნიშვნელობა. მარანში უსწორმასწოროდ, ქაოტურად განლაგებული ქვევრები მუშახელს გარკვეულ პრობლემებს უქმნის, რადგან ხშირად მარანში საჭიროა, მაგალითად, ურიკის შეყვანა და სხვა, რის დროსაც მწკრივებად გასწორებულ ქვევრებს დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც ქვევრები კარგად გასწორდება, ამის შემდეგ იწყება მათზე მინის მიყრის პროცესი. მინის მიყრა ყველა ქვევრზე პარალელურად ხორციელდება. ამ დროს მეტად მნიშვნელოვანია მიყრილი მინის საგულდაგულოდ დატყეპნა, რაც სპეციალურად დამზადებული იარაღით ხორციელდება, რომელიც წააგავს იმერულ სამარნე იარაღ „კვეულს“, რითაც ხდება ქვევრზე დადებული აყალოს დატყეპნა. მინას ქვევრებზე მიყრისას ხშირად ასველებენ კიდეც, მაგრამ თუ მინა წყლით ზედმეტად დასველდება, ეს არასასურველია, რადგან ატალახდება და მინის მიყრისა და მისი დატყეპნის პროცესი ხარისხიანად ვედარ შესრულდება. ქვევრებს რიგ შემთხვევებში იმავე მინას მიყრიან, რომელიც საქვევრე ორმოდან იქნება ამოლებული. ასეთ შემთხვევაში მინიდან დიდი ზომის ქვები უნდა განცალკევდეს და საქვევრე ორმოში შეძლებისდაგვარად წმინდად დახარისხებული მინა ჩაიყაროს. თუმცა კი ქვევრებზე შესაძლებელია სხვა ადგილიდან მოტანილი მინის ან სულაც სამშენებლო ქვიშისა თუ წმინდა ხრების მიყრაც. როდესაც მინა დაახლოებით ქვევრის პირის ოდნავ ქვემოთა დონემდე ამოვა, მინის მიყრა მთავრდება. იმისათვის, რომ ქვევრებზე მიყრილი მინა კარგად დაიტყეპნოს და დაჯდეს, ხშირად მარნის იატაკს რამდენიმე თვის ან სულაც ერთი წლის განმავლობაში არ დააგებენ. ამ პერიოდის განმავლობაში მარნის პერსონალი ადგილზე მუშაობის დროს მინას კარგად დატყეპნის, რის შემდეგაც ახდენენ მარნის იატაკის მოპირკეთებას. მარნის იატაკი სასურველია, რომ მოპირკეთდეს კირის დუღაბით და ბრტყელი ქვებით ან ძველი ქართული აგურით, რაც ქართულ ტრადიციულ მარანს ძალიან ალამაზებს. არის შემთხვევა, როდესაც მარნის იატაკი საერთოდ არ არის მოპირკეთებული და პერსონალს დატყეპნილ მინაზე უზენეს სიარული. თუმცა მარნის პიგინისათვის

ზემოთ იყოს ამონული. ამ მხრივ არა-ერთი მეთოდი არსებობს, რომელსაც მარნის მეპატრონე თავად ითვალისწინებს და ირჩევს მარნის მშენებლობისას. ჩვენ კი ამჯერად განვიხილოთ აღმოსავლეთ საქართველოს მარნის იატაკის მოწყობის ერთ-ერთი ვერსია.

ქვევრის პირი მარნის იატაკს ქვემოთ დაახლოებით 15 სანტი-მეტრზე ჩანეული. იმ ერთგვარ ღრმულს, რომელიც ქვევრის პირსა და მარნის იატაკს შორისაა, კახეთში ეწოდება „ბაგა“. მაგალითად, „ქიზიურ ლექსიკონში“ (სტეფანე მენთეშავილი. თბილისი, 1943.) ვკითხულობთ: ბაგა – ქვევრის პირის გარშემო გაკეთებული ჩაღრმავებული ადგილი, რომ სარქველდახურული ქვევრი მანიც მინის პირს დაბლა იყოს და სარქველიანი ქვევრის პირის გარშემო ხელის შემოსმა შეიძლებოდეს.

მას შემდეგ, რაც ქვევრზე დამაგრდება სარქველი, მასზე ზემოდან აყრიან წმინდა ქვიშას, რომელსაც დროდადრო სასმელი წყლით ნამავენ,


რათა ქვევრის სარქველსა და ქვევრის პირს შორის მყოფი თიხა არ გამოშრეს და ღვინო არ დაავადდეს. იმ შემთხვევაში, თუკი არ იარსებებს ბაგა და ქვევრის პირი იატაკის დონეზე

მეორე მხრივ კი, მისი არსებობის შემთხვევაში, ქვევრი უფრო მეტადაა ნიადაგში ჩაფლული, რაც ღვინისათვის გრილად და ხარისხიანად შენახვის წინაპირობაა. ბაგის დიამეტრი ქვევ-

რის პირის დიამეტრზე მინიმუმ 12-15 სანტიმეტრით დიდი უნდა იყოს, რათა ქვევრთან მომუშავე პერსონალს ქვევრზე სარქველის მორგება გაუადვილდეს. ამასთან ქვევრის პირი ბაგის ფსკერთან შედარებით მაღლა უნდა იყოს ამონული დაახლოებით 5-7 სანტიმეტრით, რათა ქვევრთან მომუშავეს ბაგიდან სარქველზე დაყრილი ქვიშის ამოყრა არ გაუძნელდეს ქვევრის სარქველის მოხდის დროს. მნიშვნელოვანია, რომ ქვევრის მოხდის დროს ბაგიდან ქვიშის მთლიანად

ამოყროს, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც ბაგაში ჩარჩენილი ქვიშა მუშაობის დროს მოხდილ ქვევრში და აქედან ღვინოში ცვივა და ღვინო ბინძურდება.

**მოწვდიდ პარასკევი, მცხეთა, 2014წ.**



იქნება, მაშინ ქვევრზე დაყრილი ქვიშა გარკვეული დროის შემდეგ მარნის იატაკზე გაიბნევა და ამრიგად მარანიც დაბინძურდება და ქვევრში მდგარი ღვინოც დაუცველი დარჩება. ასე რომ, ბაგა, ერთი მხრივ, წარმოადგენს ქვიშის მოგროვების ადგილს, ხოლო

## ჩვენი სიციცია



# საბარძისა დვინო

საკითხის პატუალურობიდან გამომდინარე უზრნალ „ახალი აბრარული საქართველოს“ საშუალებით მიღდა მცირეოდენი ცენგები მოგანეოდოთ იგგვარი ღვინის ჭესახეზ, რომელიც მართლგალიერებული ცირვის დროს მცირებული გამოიყენება. აგვარი ღვინო არ საბარძისა ღვინო – საზღვავი ღვინოდ ან ზეღავებაც მოიხსენიება. ზეღავება მცოლოდ საბარძის ცირვის ღვინო კი არა, შესაძლოა თეთრი ღვინოც იყოს, რომელიც სარჯახო მოხარებისათვისაა განკუთვნილი, გაგალითად რომილი საეპლისი დღისასწაულზე ან ტაძარ-მონასტრისში შესამირად.

ზოგჯერ ჩვენში ზედაშის სახელით ვენახის ზერებიც იყო სახელდებული და სხვ. ზედაშის კულტურის შესახებ უზრნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ ერთ-ერთ წინა ნომერში უკვე მოგანეოდეთ ინფორმაცია, ამიტომ დღევანდელ მოკლე მიმოხილვაში კონკრეტულად საბარძიმე ღვინოზე შეჩერდები. ტერმინი ზედაში უპირატესად ქართლ-კახეთში გვხვდება. მართებული იქნება თუ ვიტვით, რომ ქართლ-კახეთში თითქმის არ არსებობდა მარანი, სადაც ზედაშის ქვევრი არ ყოფილიყო ჩარგული, რომელ-

საც ყოველი ოჯახი განსაკუთრებული მონიტორით ეპყრობოდა.

საკითხი მეტად აქტუალური და, ამავდროულად, პრობლემატურია, რადგან ხშირად წმინდა ბარძიმში ჩასასხმელად ჩვენ ეკლესია-მონასტრებში სრულიად შეუფერებელი ღვინო გამოიყენება. ასევე უზეშ დარღვევებს ვაწყდებით საბარძიმე ღვინის დაყრენების შემთხვევაში.

აქვე მოკლედ მინდა შევეხო ყურნის გადამუშავებისა და ვაზის ჯიშების შერჩევის საკითხსაც, საიდანაც საბარძიმე ღვინის დაყრენებაა შესაძლებელი. საბედნიეროდ ჩვენი ქვეყნის მეცნიერების ყოველ რეგიონსა თუ მხარეში წითელყურძნიანი ვაზის ბევრი ადგილობრივი ჯიში გვხვდება, რომელთაგანაც შესაძლებელია საბარძიმე ღვინო დაყენდეს, თუმცა რეალური სურათი სხვაგვარია. უნდა აღინიშნოს, რომ საბარძიმედ მხოლოდ მუქი წითელი შეფერილობის მომცემი ვაზის ჯიშის ღვინო გამოიყენება. ასეთ დროს არ გამოდგება ღვინოს წითელი, ვარდისფერი და მიუმეტეს თეთრი ღვინო. ასევე არ შეიძლება თეთრი და წითელი ღვინის

ლებელი. საბედნიეროდ ჩვენი ქვეყნის მეცნიერების ყოველ რეგიონსა თუ მხარეში წითელყურძნიანი ვაზის ბევრი ადგილობრივი ჯიში გვხვდება, რომელთაგანაც შესაძლებელია საბარძიმე ღვინო დაყენდეს, თუმცა რეალური სურათი სხვაგვარია. უნდა აღინიშნოს, რომ საბარძიმედ მხოლოდ მუქი წითელი შეფერილობის მომცემი ვაზის ჯიშის ღვინო გამოიყენება. ასეთ დროს არ გამოდგება ღვინოს წითელი, ვარდისფერი და მიუმეტეს თეთრი ღვინო. ასევე არ შეიძლება თეთრი და წითელი ღვინის

ერთმანეთში შერევაც. ამგვარი წესი ვრცელდება ყურძნის შემთხვევაზეც!

დიდად სამწუხაროა, რომ ზოგჯერ წმინდა ბარძიმში ქარხნული წარმოების იმგვარ ღვინოს იყენებენ, რომელსაც „წმინდა“ და აქედან გამომდინარე საბარძიმე ღვინოსთან საერთო არაფერი აქვთ. საქმე ისაა, რომ ქარხნული ღვინოების აბსოლუტურ უმრავლესობაში ამატებენ როგორც ცხოველური წარმოშობის, ისე სხვადასხვა ქიმიური პრეპარატების მთელ რიგ „სპექტრს“, რის შემდეგაც ამგვარ ღვინოს უფრო მართებულია ეწოდოს არა საბარძიმე ღვინო, არამედ „ქიმიური სითხე“! ამიტომ საბარძიმე ღვინის არსში გარკვევა სასულიერო თუ საერო პირს ერთნაირად მოეთხოვება.

საბარძიმე ღვინის დაყენების ტრადიცია უპირველესად ჩვენს მამათა მონასტრებში უნდა განახლდეს, რასაც თავისთავად მოჰყვება ამ საკითხში მოსახლეობის გარკვეულ-ნილად გათვითცნობიერებაც და ჩართვაც. საქართველოში მოქმედმა ყოველმა ეპარქიამ აუცილებლად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მათ მათივე რეგიონებისათვის დამახასიათებელი ვაზის როგორც საკოლექციო, ისე სანარმოო ვენახები გააშენონ, საიდანაც შემდგომში მოხდება საბარძიმე ღვინის დაყენება, ხოლო გაშენებული საკოლექციო ვენახებიდან კი უნდა მოხდეს ადგილობრივი ვაზის ჯიშების მოსახლეობაში გავრცელება, რათა ძველი ქართული ვაზის ჯიშები თავმოყრილი იყოს არა მხოლოდ საკოლექციო ნაკვეთებში, არამედ ისინი დაუბრუნდეს თავიანთ ძირძველ ისტორიულ ადგილებსაც.

რიგ შემთხვევებში საბარძიმედ გამოიყენება ე.წ. „უნამლი ვაზის ღვინო“, ანუ სახეობათაშორისი ჰიბრიდების ღვინო, როგორიცაა, მაგალითად: „ვაქირულა“, „დირტულა“, „ჯვარისა“, „მოლდავანკა“ (უვიცობით, „მოლდავანკას“ ალადასტურადაც მოიხსენიებენ), „შანიძე“ ან, მაგალითად, ადგესა თუ სხვ. ეს ყოველივე უმართებულად მიგვაჩინა! ჩვენს წინაპრებს თავიანთი შრომისა და სისხლის ფასად ქართული ვაზის ჯიშები ჩვენამდე იმისათვის არ მოუტანიათ, რომ ისინი ისეთ უვარების და „უჯიშო ჯიშებში“ გაცვალოთ, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. არც ის ფაქტი უნდა იყოს მთლად გამართლებული, როდესაც, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს რომელიმე ეპარქია თუ კონკრეტული მონასტერი საბარძიმე ღვინის დასაყენებლად საფერავის ყურძენს კახეთში ყიდულობს. მეორე

მხრივ, ამგვარი რამ წამდვილად არაა აკრძალული, მაგრამ უკეთესი ხომ არ იქნებოდა, რომ ამა თუ იმ ეპარქიის მმართველ მეუფეს საკუთარ ეპარქიებში ადგილობრივი ვაზის ჯიშების გამრავლებაზე ეზრუნა?

საბარძიმე ღვინის დაყენების დროს ცხადია საქმე უმარხოდ არ ჩაივლის! ამიტომ ზრუნვის საგანი, თუნდაც მცირე მარნების მშენებლობა ან ძველი მარნების აღდგენა უნდა იყოს, სადაც საბარძიმე ღვინო დაყენდება და რომელი მარნებიც საწნახლებითა და ქვევრებით მოეწყობა. ყურძენი საწნახლები, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ, შიშველი ფეხით უნდა დაინუროს, ხოლო საბარძიმე ღვინო ქვევრში უნდა დაყენდეს. ასევე მნიშვნელოვანია საწნახლები ყურძნის წურვის სათანადო ცოდნაში და გაგრძელდეს, მაგრამ საუბარია წმინდა სანთელზე და ასევე ფიჭვისა თუ წაძიის ბუნებრივ საკმეველზე და არა პარაფინის სანთლებსა თუ იმ ქიმიურ საკმეველზე, რომელიც ბოლო პერიოდში გამოიყენება ჩვენს ზოგიერთ ტაძარმონასტერში. რთული სათქმელია ეს უკანასკნელი საკითხი, მაგრამ ამგვარ ქიმიურ პროდუქტებს, რომლებიც წმინდა სანთელ-საკმეველის სახელითაა მონათლული, ქართულ მარანში არაფერი ესაქმება... მნიშვნელოვანია, რომ ტაძრებში წმინდა სანთლების შეტანა და აქედან გამომდინარე ასეთ სანთელზე მოთხოვნილების გაზრდა ჩვენში გარკვეულნილად მეუფეტერების დარღვესაც განავითარებს.

საბარძიმე ღვინოსთან, დაწყებული ყურძნის გადამუშავებითა და ღვინის დაყენება-დავარგების საქმით დასრულებული, ურთიერთობა შეძლებისდაგვარად ერთსა და იმავე მამაკაცს უნდა ჰქონდეს. საბარძიმე ღვინოსთან არ შეიძლება სხვადასხვა და მითუმეტეს არაკომპეტენტურ პირთა მიახლოება და საქმიანობა. საბარძიმე ღვინის დაყენების პროცესში, გარდა საღვინე ჭურჭელში დეზინფექციის მიზნით ჩაბოლებული გოგირდისა, სხვა რაიმე დანამატის გამოყენება არ შეიძლება. ყოვლად დაუშვებელია, რომ საბარძიმე ღვინო დაყენდეს ე.წ. კულტურული საფუარით; ღვინოში არამც და არამც არ უნდა ჩაემატოს გამნებავი საშუალებები, მათ შორის

ბუნებრივიც, მაგალითად ბენტონიტი ან ასკანის თიხა და სხვ; დაუშვებელია ასევე: ენზიმების, ტანინის, კვერცხის ცილის, ალკოჰოლის, საღებავი ნივთიერებების, ნელის, შაქრისა თუ სხვა რომელიმე ნივთიერების დამატება, რაგინდ ბუნებრივი და ნატურალურიც არ უნდა იყოს ის. ასეთ დროს არც ღვინის ფილტრაციაა რეკომენდებული, რადგან, თუკი ღვინის დაყენების ტექნოლოგიას ძირეული ცოდნით მიყუდებებით, ვნახავთ, როგორც ფილტრაცია, ასევე ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი და თვით ჭურჭელში გოგირდის ჩაბოლების მეთოდიც კი ღვინის დაყენებაში სრულიად ზედმეტია. ღვინის დაყენება ცოდნასთან ერთად საქმისადმი სიყვარულით მიდგომასაც მოითხოვს და ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე მაშინ შედგება,



როდესაც კაცი ამ საქმეს გონებითა და გულით მოეკიდება.

ჩვენს წინაპრებს ალბათ აზრადაც არ მოუვიდოდათ საბარძიმე ღვინის დაყენების წესების ფურცელზე გადმოტანა, მაგრამ ეს გარემოება დღეს შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია. ამიტომაც ქართული ტრადიციული მელვინების საგანში ჩვენი უმთავრესი საზრუნავი სწორედ საბარძიმე ღვინის მართებულად დაყენების აღნებების უნდა გახდება. დიდად სავარაუდოა, რომ ეს გარემოება და ამრიგად ხარისხით განავითარებს. ამ სავნის ალბათ არამატერიალური მელვინების აღნებების უნდა გახდება. დაუშვებელია, რომ ეს გარემოება და ამრიგად ხარისხით განავითარებს. ამ სავნის ალბათინი ტაძრებში გარკვეულნილად მეუფეტებს, რომლებიც წმინდა სანთელ-საკმეველის სახელითაა მონათლული, ქართულ მარანში არაფერი ესაქმება... მნიშვნელოვანია, რომ ტაძრებში წმინდა სანთლების შეტანა და აქედან გამომდინარე ასეთ სანთელზე მოთხოვნილების გაზრდა ჩვენში გარკვეულნილად მეუფეტერების დარღვესაც განავითარებს.

**მოურვი გარემოება, მცხეთა, 2014 წ.**

# საქართველოში გავრცელებული 31-ის ჯიშები

მსოფლიოში 4000-მდე ვაზის ჯიშია, აძედან საქართველოში ხალცური სელეპციით 500-ზე მეტი აღიღილობრივი ჯიშია გამოყვანილი.

შუალედის ჯიშების რაოდენობა კუთხითში:

- |                       |                         |
|-----------------------|-------------------------|
| 1) კახეთი - 88 ჯიში.  | 6) აჭარაზეთი - 48 ჯიში. |
| 2) იმერეთი - 78 ჯიში. | 7) სამეგრელო - 47 ჯიში. |
| 3) ქართლი - 62 ჯიში.  | 8) აზერა - 47 ჯიში.     |
| 4) გურია - 59 ჯიში.   | 9) ლეჩეზეთი - 35 ჯიში.  |
| 5) რაჭა - 54 ჯიში.    | 10) მესხეთი - 9 ჯიში.   |

## ჯიშების გავრცელება რეგიონების მიხედვით

- 1 - აბისტაჯ, თეთრი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 2 - აბსუაჯ, შავი, აფხაზეთი., მც. გავრც.
- 3 - აბშილური შავი, სამეგრელო, მც. გავრც.
- 4 - აგაშეურ, ვარდისფერი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 5 - აგბიჯ შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 6 - აგუტოლიჯ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 7 - ადანასური, შავი, იმერეთი, მც. გავრც.
- 8- ადრეული, თეთრი, ქართლი, მც. გავრც.
- 9- ავასირშვა, თეთრი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 10- ავრეხი, თეთრი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 11 - ათასარევა, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 12- ათინაური, თეთრი, გურია, მც. გავრც.
- 13- ათურქუჯ, თეთრი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 14 - აკაბილიჯ, თეთრი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 15 - აკასაჯ, თეთრი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 16 - აკაბილ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 17- აკუმშტალ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 18 - აკიდო, შავი, გურია, მც. გავრც.
- 19- აკლიკ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 20- აკომშტალ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 21 - აკუბასა, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 22 - აკუშარ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 23- ალადასტური, შავი, გურია, მც. გავრც.
- 24 - ალექსანდროული შავი, რაჭა, ფართ. გავრც.
- 25 - ალექსანდროული თეთრი, თეთრი, რაჭა, მც. გავრც.
- 26 - ალეში თეთრი, ვარდისფერი, რაჭა, მც. გავრც.
- 27 - ალმურა თეთრი, თეთრი, აჭარა, მც. გავრც.
- 28 - ალმურა შავი, შავი, აჭარა, მც. გავრც.
- 29 - ამგურჩალ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 30 - ამლახუ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 31 - ამოფიჯ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 32 - ანდრეული თეთრი, ქართლი, მც. გავრც.
- 33 - ანდრიასეული თეთრი, ქართლი, მც. გავრც.
- 34 - ანდრიული თეთრი, ქართლი, მც. გავრც.
- 35 - აპაბინჯ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 36 - აპუჯერა, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 37 - აჯაპშ, ვარდისფერი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 38 - აჯემჩილ, ვარდისფერი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 39 - აჯია, ვარდისფერი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 40 - აჯიგრა, ვარდისფერი, აფხაზეთი, მც. გავრც.

- 41 - აჯკვაკვა, თეთრი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 42 - აჯევატა, თეთრი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 43 - აჯყაფშ, ვარდისფერი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 44 - არაბეული, თეთრი, თეთრი, რაჭა, მც. გავრც.
- 45 - არაბეული შავი, შავი, რაჭა, მც. გავრც.
- 46 - არაგვისპირული, თეთრი, ქართლი, მც. გავრც.
- 47 - ასურეთული შავი, შავი, ქართლი, საკმ. გავრც.
- 48 - აფხაზურა, თეთრი, სამეგრელო, მც. გავრც.
- 49 - აფხაზური შავი, ლეჩეზეთი, მც. გავრც.
- 50 - აცილმიჯ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 51 - აყაფშ შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 52 - აძულაჯ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 53 - აჩკიკიჯ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 54 - აძნიჯ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 55 - აწლიჯ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 56 - აჭანდრის, წითელი, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 57 - ახალაკი მუქი, წითელი, აჭარა, მც. გავრც.
- 58 - ახალდან, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 59 - ახულუჯ, შავი, აფხაზეთი, მც. გავრც.
- 60 - ბადაგი, მუქი, ვარდისფერი, გურია, მც. გავრც.
- 61 - ბაზალეთური, თეთრი, იმერეთი, მც. გავრც.
- 62 - ბათომურა, შავი, აჭარა, მც. გავრც.
- 63 - ბალის, ყურძენი, თეთრი, აჭარა, მც. გავრც.
- 64 - ბახვა, შავი, რაჭა, მც. გავრც.
- 65 - ბახვას, ყურძენი, შავი, გურია, მც. გავრც.
- 66 - ბეგლარის, ყურძენი, თეთრი, რაჭა, მც. გავრც.
- 67 - ბელარანი, შავი, ლეჩეზეთი, მც. გავრც.
- 68 - ბელაქნური, თეთრი, საინგილო, მც. გავრც.
- 69 - ბეჯანა, თეთრი, მესხეთი, მც. გავრც.
- 70 - ბეჯანური, თეთრი, კახეთი, მც. გავრც.
- 71 - ბერბეშო, შავი, რაჭა, მც. გავრც.
- 72 - ბეროულა, თეთრ, რაჭა, მც. გავრც.
- 73 - ბერძულა, შავი, გურია, მც. გავრც.
- 74 - ბენოურა, შავი, იმერეთი, მც. გავრც.
- 75 - ბზეანურა, შავი, იმერეთი, მც. გავრც.
- 76 - ბორჩალო, შავი, ქართლი, მც. გავრც.
- 77 - ბორლა, თეთრი, აჭარა, მც. გავრც.
- 78 - ბუა ყურძენი, თეთრი, კახეთი, მც. გავრც.
- 79 - ბუდეშური თეთრი, თეთრი, ქართლი, მც. გავრც.
- 80 - ბუდეშური, წითელი, წითელი, კახეთი, მც. გავრც.
- 81 - ბუერა, თეთრი, კახეთი, მც. გავრც.
- 82 - ბუზა, შავი, ქართლი, მც. გავრც.

- 83 - ბურძლალა, შავი, აჭარა, მც. გავრც.
- 84 - ბურძლუმი, შავი, ქართლი, მც. გავრც.
- 85 - ბუტკო, შავი, აჭარა, მც. გავრც.
- 86 - ბუტკუა, თეთრი, რაჭა, მც. გავრც.
- 87 - გაბაშა, თეთრი, რაჭა-ლეჩხუმი, მც. გავრც.
- 88 - გაბესაური თეთრი, თეთრი, იმერეთი, მც. გავრც.
- 89 - გაბესაური შავი, შავი, იმერეთი, მც. გავრც.
- 90 - გავაზური, შავი, კახეთი, მც. გავრც.
- 91 - გამოყვანილი, შავი, რაჭა-ლეჩხუმი, მც. გავრც.
- 92 - განახარული, შავი, ქართლი, მც. გავრც.
- 93 - გალმამხარული, შავი, კახეთი, მც. გავრც.
- 94 - გოდაათური ღია, შავი, სამეგრელო, მც. გავრც.
- 95 - გომის თეთრი, თეთრი, იმერეთი, მც. გავრც.
- 96 - გომის წითელი, წითელი, იმერეთი, მც. გავრც.
- 97 - გორგოული, თეთრი, აჭარა, მც. გავრც.
- 98 - გორულა, თეთრი, ქართლი, საქმ. გავრც.
- 99 - გორულა მწვანე, თეთრი, ქართლი, ფართ. გავრც.
- 100 - გრეხი, თეთრი, სამეგრელო, მც. გავრც.
- 101 - გრძელმტევანა, თეთრი, კახეთი, მც. გავრც.
- 102 - გრძელმტევნინანი, თეთრი, ქართლი, მც. გავრც.
- 103 - დაკიდულა, თეთრი, ქართლი, მც. გავრც.
- 104 - დამბალა, შავი, კახეთი, მც. გავრც.
- 105 - დანახარული, მუქი, წითელი, ქართლი, მც. გავრც.
- 106 - დაქცეული, შავი, რაჭა-ლეჩხუმი, მც. გავრც.
- 107 - დედოფლის კითი, თეთრი, სამეგრელო, მც. გავრც.
- 108 - დევისთვალა, თეთრი, საინგილო, მც. გავრც.
- 109 - დიდმტევანა, თეთრი, საინგილო, მც. გავრც.
- 110 - დიდშავა, შავი, იმერეთი, მც. გავრც.
- 111 - დიღმურა, წითელი, ქართლი, მც. გავრც.
- 112 - დედათყურძენი, თეთრი, კახეთი, მც. გავრც.
- 113 - დონდლაბი შავი, შავი, იმერეთი, მც. გავრც.
- 114 - დორდლო, თეთრი, გურია, მც. გავრც.
- 115 - დუდლუში, თეთრი, სამეგრელო, მც. გავრც.
- 116 - დღლაბე, თეთრი, სამეგრელო, მც. გავრც.
- 117 - ეგურძგული, თეთრი, სამეგრელო, მც. გავრც.
- 118 - ენაგეთის თეთრი, თეთრი, ქართლი, მც. გავრც.
- 119 - ენაგეთის წითელი შავი, ქართლი, მც. გავრც.
- 120 - ენდელაძისეული შავი, იმერეთი, მც. გავრც.
- 121 - ვაზისუბნის წითელი შავი, კახეთი, მც. გავრც.
- 122 - ვაზისუბნის თეთრი, თეთრი, კახეთი, მც. გავრც.
- 123 - ვაიოს საფერავი შავი, აჭარა, მც. გავრც.
- 124 - ვანის ჩხავერი ვარდისფერი, იმერეთი, მც. გავრც.
- 125 - ვარდისფერა ღია ვარდისფერი, კახეთი, მც. გავრც.
- 126 - ვარდისფერი ყურძენი მუქი ვარდისფერი, კახეთი, მც. გავრც.
- 127 - ვაცინვერა თეთრი, გურია, მც. გავრც.
- 128 - ვერტყვიჭალის შავი, შავი, იმერეთი, მც. გავრც.
- 129 - ვერტყვიჭალის თეთრი, თეთრი, იმერეთი, მც. გავრც.
- 130 - ვერნახი შავი, სამეგრელო, მც. გავრც.
- 131 - ვირაყურძენი თეთრი, ქართლი, მც. გავრც.
- 132 - ვორონა შავი, გურია, მც. გავრც.
- 133 - ზაქათალის შავი მუქი ვარდისფერი, საინგილო, მც. გავრც.
- 134 - ზაქათალის წითელი წითელი, საინგილო, მც. გავრც.
- 135 - ზენათური თეთრი, გურია, მც. გავრც.
- 136 - ზერდაგი თეთრი, სამეგრელო, მც. გავრც.
- 137 - თაკვერი დიდმარცვალა შავი, კახეთი, მც. გავრც.
- 138 - თაკვერი პატალანთეული შავი, კახეთი, მც. გავრც.
- 139 - თაკვერი, ქართლის შავი, ქართლი, მც. გავრც.
- 140 - თაკვერი საფერავისებური შავი, კახეთი, მც. გავრც.
- 141 - თავდაკიდული თეთრი, მესხეთი, მც. გავრც.
- 142 - თავცეცხლა ვარდისფერი, მესხეთი, მც. გავრც.
- 143 - თავისითელა თეთრი, რაჭა-ლეჩხუმი, მც. გავრც.
მეორე მხრივ და, არცთუ იშვიათად, ჩაიზე გაზრდილი მოთხოვნების (გაბერილი გეგმის შესასრულებლად), სათანადო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვილი და შესაბამის კონტროლს მოკლებული მეჩაიერები XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული სულ უფრო ხშირად გაუხეშებული ფოთლით, ჩაის ხარისხის შეცმირების ხარჯზე, ზრდიდნენ რაოდენობას. ჩაის ფოთლის საკრეფი სპეციალური მანქანების ნაცვლად ჩაის ფოთლოს ხშირად საკოფენე მასალის ამღები, ჩაის ბუჩქების შპალერული სასხლავი აპარატებით აღჭურვილი, ზემაღალი წარმადობის მეჩაიერების „პპკ-1“ მარკის მოწყობილობებით კრეფდნენ, რაც ქართული ჩაის ხარისხს მკვეთრად აუარესებდა. ამის გამო XX საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების, აგრეთვე გასაღების ტრადიციული ბაზრის დაკარგვის შემდეგ საქართველოს მეჩაიერობამ საპაზრო ეკონომიკის პირობებში მკვეთრი დევრადაცია განიცადა.

დღეს კი საქართველოში არსებული პლანტაციების მეტი წილი იმდენადა დაკინებულია, რომ ხარისხოვანი ფოთლის საკრეფად მათი მასობრივი რეაბილიტაცია საჭირო. ასევე მძიმე მდგომარეობაშია ჩაის ფაბრიკები, რომელთა აღჭურვილობა მორალურადაც და ფიზიკურადაც მოძველებულია.

აგრძრულ პროდუქციაზე მოთხოვნილებასა და მიწოდებას შორის შეფარდების შეცვლის შედეგად მსოფლიო სასურსა-

თო ბაზარზე უახლოეს ორ ათწლეულში დედამიწის მოსახლეობის ზრდით გამოწვეული რადიკალური ცვლილებებია მოსალოდნები. ასე მაგალითად: დედამიწის მოსახლეობა, რომელმაც 1999 წლის ოქტომბრისათვის 6 მილიარდს მიაღწია, 2020 წლისათვის 8 მილიარდს გადააჭარბებს. მოხდება მოთხოვნის დომინანტის გადააჭარბება მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებიდან მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპების მქონე რეგიონებში (აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, ჩინეთი). თუ განვიხილავთ მსოფლიოში ჩაის წარმოების დინამიკას, ნათლად გამოიკვეთება, რომ განვითარებად ქვეყნებში შავი ჩაის მოხმარება სულ უფრო სწრაფად გაიზრდება. კერძოდ: ლათინურ ამერიკაში მოსალოდნელია 18 ათასი ტონიდან 41 ათას ტონამდე გაზრდა, ახლო აღმოსავლეთში – 282 ათასი ტონიდან – 584 ათას ტონამდე, ინდოეთში კი 413 ათასი ტონიდან – 832 ათას ტონამდე გაზრდა. ოცნლიან პერიოდში განვითარებად ქვეყნებში, საერთო ჯამში, შავი ჩაის მოხმარება 1235 ათასი ტონიდან 1950 ათას ტონამდე, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში პარველ ათ წელიწადში 641 ათასი ტონიდან 566 ათას ტონამდე შემცირდება, შემდეგ კი, დაახლოებით, 720 ათას ტონამდე გაიზრდება.

ცხადია, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით საქართველოში მეჩაიერების განვითარების სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრა უნდა მოხდეს, სადაც ორმოცდაშიდასუუკუნვანი ისტორიის მქონე ჩაის კულტურა შედარებით გვიან დამკვიდრდა. მეოცე საუკუნის ოცნან წლებში საქართველოში მეჩაიერება ჯერ კიდევ ჩანასახოვნ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო სამოცდაათანი წლებისათვის მან ქვეყნის ეკონომიკაში უკვე ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია დაიკავა.

თავის მხრივ მეჩაიერება მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომ იგი სტრატეგიულ პროდუქტად უნდა ვალიაროთ. მასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, მეჩაიერების დარგის აღდგენისა და რეაბილიტაციის პრობლემა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობით ერთ-ერთი უპირველესი და პრიორიტეტული ამოცანაა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოში მეჩაიერება განვითარებული იყო 26 რაიონში. 1987 წელს არსებული 59,2 ათასი ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციიდან 593 ათასი ტონა ჩაის ფოთლოლი მოიკრიფა და ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ 10017 კგ. შეადგინა. ინარმა 104,7 ათასი ტონა შავი და 24 ათასი ტონა მწვანე ბაზების ჩაი. გარდა ამისა, წარმოებული იქნა აგურა და გრანულირებული ჩაი, მატონიზირებელი სასმელები, კონცენტრატები და ჩაის სხვა პროდუქტები.

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობას ემსახურებოდა იმ პერიოდისათვის მონინავე ტექნიკითა და ტექნოლოგიით შეიძლებული 152 პირველადი გადამუშავების, 22 გადამწინი, 2 აგურა ჩაის სასწრები ფაბრიკა და 3 კონცენტრატებისა და მატონიზირებელი სასმელების მწარმოებელი ქარხანა.

ქვეყანაში განვითარებული ცნობილი მოვლენების შედეგად, განსაკუთრებით ბოლო 20 წლის მანძილზე, მეჩაიერობამ უმძიმესი დანაკარგი განიცადა. აგრარული სექტორიდან ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისა და სუბტროპკული ზონის მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ძირითადი წყაროს-მეჩაიერობის დარგის პოტენციური შესაძლებლობები ამჟამად მხოლოდ 10 პროცენტითაა გამოყენებული. პერსპექტიული ჩაის პლანტაციების ფართობები, ზემოთ აღნიშნული 65 ათასი ჰექტარიდან, 10 ათას ჰექტარამდე შემცირდა. მათ შორის ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაში მხოლოდ 2264 ჰექტარია.

საქართველოში ჩაის პლანტაციების შემცირების საპირისპიროდ ჩაის მწარმოებელ სხვა ქვეყნებში იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ბოლო წლებში სულ ცოტა 100 ათასი ჰექტარითაა გაზრდილი. საყურადღებოა, რომ გაზიარდა ექსპორტიც, რაც ნაწილობრივ იმითაა გამოწვეული, რომ თავად ჩაის მწარმოებელ კლასიკურ ქვეყნებში უპირატესად იზრდება მასზე შიდა მოხმარება, ბუნებრივია, ჩაის ექსპორტის ზრდის პოტენციური შესაძლებლობები ექმნებათ იმ ქვეყნებს, რომლებმიც ჩაის შიდა მოხმარება ადგილობრივ ნარმოების შესაძლებლობასთან შედარებით მცირეა. ჩაის მწარმოებელი ქვეყნების ასეთ ჯგუფს მიეკუთვნება საქართველო.

FAO-ს ბოლო მონაცემებით საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა მსოფლიო ბაზარზე 78-80 ათასი ტონა ჩაი გაიტანოს, რომლის შესაძლებლობაც, ბუნებრივია, ჩვენ ამჟამად უკვე აღარ გაგვაჩნია. კერძოდ, ქვეყნის მეჩაიერობის ზონის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი შესაბამისი სამსახურების მიერ ჩატარებული ჩაის პლანტაციების ინვენტარიზაციით დადგენილია, რომ 2013 წლის ივნისისათვის საქართველოში დარჩენილია 19 203 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. აქედან სახელმწიფო საკუთრებაშია 12 551, ხოლო კერძო საკუთრებაში - 6 652 ჰექტარი. მათ შორის: ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაშია 2 453 ჰექტარი, ხოლო დანარჩენი 16 750 ჰექტარი ეკალბარდებითა დაფარული და გატყევებულია. აღნიშნული გატყევებული ფართობიდან აღდგენას 7 153 ჰექტარი ექვემდებარებოდა, ხოლო დანარჩენი 9 597 ჰექტარი ამოსაძირევია.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, „ჩაის „მონაცემები-დან დგინდება, რომ ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაში მყოფი (2453 ჰა), შპალერულად გასასახლავი (433 ჰა) და ალსადგენი (7153 ჰა) ჩაის პლანტაციების (ანუ პერსპექტიულის) საერთო ფართობი დღეისათვის 10039 ჰექტარს შეადგენს.

სპეციალისტების მიერ დადგენილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ 2014 წლის პირველ ნახევრაში მძიმედ და ნახევრად მძიმედ გაისხვლება ( $6262 \text{ ჰა} + 1673 \text{ ჰა} = 7935 \text{ ჰექტარი}$ ), 2014 წლისათვის ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაში გვექნება 2104 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, იგივე ფართობი გვექნება 2015 წელსაც. 2016 წელს საექსპლუატაციო ფართობს დაემატება ნახევრად მძიმედ გასხლული 1673 ჰექტარი, ხოლო 2017 წელს მძიმედ გასხლული 6262 ჰექტარი. აღნიშნულიდან გამომდინარე ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაში გვექნება: 2014 წელს - 2104 ჰექტარი, 2015 წელს - 2104 ჰექტარი, 2016 წელს - 3777 ჰექტარი, 2017 წელს - 10039 ჰექტარი, 2018 წელს - 10039 ჰექტარი.

საპროგნოზო მონაცემებით 2014 წელს დაუფასოებელი 1342 ტონა ჩაის პროდუქციის რეალიზაციიდან (დღეისათვის მოქმედი დაუფასოებელი ჩაის საბაზრო ფასების მიხედვით) მოსალოდნელი ფულადი შემოსავალი 11,4 მილიონ ლარს შეადგენს, მაგრამ სრულად თუ ჩადგება მწყობრში დღემდე შემორჩენილი 10039 ჰექტარი პერსპექტიული ჩაის პლანტაცია, 2018 წლისათვის ნარმოებული პროდუქციის 10,2 ათას ტონამდე გაზრდაა შესაძლებელი, რომლის რეალიზებით სულ მცირე 112,3 მილიონი ლარის მიღება მოხერხდება, რაც 9,9-ჯერ აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს.

იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად მსოფლიო სამომხმარებლო ბაზარზე ჩაი ერთჯერად ან მცირე პაკეტებში დაფასოებული იყიდება, რომლის ღირებულებაც სულ მცირე ხუთჯერ მაღალია დაუფასოებელთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ჩაის მწარმოებლებს, ჩაის დაფასოების ამ წესის ფართოდ დანერგვის გზით, დარგში ფულადი შემოსავლების გაზრდის დიდი რეზიუმე გააჩინია.

სპეციალისტთა გაანგარიშებით დადგენილია, რომ ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციის სრული რეაბილიტაციისათვის 7,25 ათასი ლარია საჭირო, ანუ სულ 7935 ჰექტარი ჩაის პლანტაციის აღდგენა 57,5 მილიონი ლარის კაპიტალდაბანდებას ითხოვს, რამიც შედის:

ა) 7935 ჰექტარი ჩაის პლანტაციის ეკალბარდებისაგან განვითარების, მძიმედ და ნახევრად მძიმედ გასხვლის, მექანიზაციით და ხელით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება - 9 მილიონი ლარი;

ბ) 1100 კმ<sup>2</sup>-ზე ეკალბარდების ღირების და მილიონ ლარი;

გ) მძიმედ გასხლული 6262 ჰექტარი ჩაის პლანტაციის სამი წლის მოვლის ხარჯი - 35 მლნ ლარი.

დ) ნახევრად მძიმედ გასხლული 1673 ჰექტარი ჩაის პლანტაციის 2 წლის მოვლის - 6 მლნ ლარი.

ე) ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაში მყოფი 2104 ჰექტარი ჩაის პლანტაციის ნიადაგის გასანიჭირებლად პირველ წელს შესაძენი მინერალური სასუქების ღირებულება - 2 მლნ ლარი.

ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციისა და მათი ოპტიმალურად მოვლა-პატრონობის პირობებში 2014-2018 წლებში სულ მცირე 25 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქციის მიღებაა მოსალოდნელი, რისი სარეალიზაციო ფასი დაფასოების გარეშე 256 მილიონ ლარს შეადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სპეციალისტები ასკვნიან, რომ ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო 57,5 მლნ ლარის დაბალპროცენტიანი სესხის თუნდაც 5-7 წლის ვადით გამოყოფა ეკონომიკური თვალსაზრისით სრულებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

ეკონომიკური თვალსაზრისით გარდა საქართველოში მეჩაიერობის დარღვევის რეაბილიტაცია ანუ პერსპექტიული 2018 წლის შესაძენი მინერალური სასუქების გარებულება - 2 მლნ ლარი;

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ახალი პლანტაციის გაშენების დარღვევის რეაბილიტაცია სანების ეტაპზე თუნდაც 10 ათასი ჰექტარის ფარგლებში მეტად სერიოზულ სოციალურ დატვირთვას იძენს იმ თვალსაზრისითაც, რომ დარგში დამატებით 40 ათასი კაცი დასაქმდება ანუ ამდენივე ივანებს გაუჩინდება ყოველწლიური სტაბილური შემოსავალი.

და პროდუქციის რეალიზაციის პროცესების ცალ-ცალკე სუბსიდირება სასურველ შედეგს არ იძლევა. მიზანშეწონილია ამ საკითხების კომპლექსურად გადაწყვეტის ორგანიზება.

მეჩაიერბის დარგში საჭიროა განვითარდეს წარმოების გაფართოების ისეთი ხელშემწყობი ორგანიზაციული ფორმები, როგორიცაა: კომპერატივები, სხვა სახის თანამედროვე სამენარმეო-სამეურნეო (ფერმერული) გაერთიანებები. დახვეწისას და ხელშემწყობას საჭიროებს საქართველოს ჩაის მწარმოებლთა ასოციაციის საქმიანობა. მიუხედავად აღნიშნულისა, არასაკმარისი, მაგრამ გარკვეული ძვრები მეჩაიერბის დარგში მაინც არის. კერძოდ, უკანასკნელ პერიოდში იკვეთება შიდა მოხმარების ბაზარზე ქართული ჩაის ხევდრითი წილის ზრდა. წინა წლების 5-6 %-იდან იგი ამჟამად 18-20%-მდეა გაზრდილი. ამასთან, ადგილობრივი ინკასტორების ძალისხმევით მოხერხდა რამდენიმე სახის ახალი ქართული ჩაის ბრენდის შექმნა. უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე წელიწადში საშუალოდ იკრიფება 12-16 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი და 3-4 ათასი ტონა სხვადასხვა ასორტიმენტისა და ხარისხის მზა პროდუქცია მზადდება. აქედან 90% ექსპორტზე გადის, თუმცა დღემდე მოქმედ საწარმოთა უმტკესობას, ცალკეული გამონაკლისების გარდა, სუსტი ფინანსური მდგომარეობა აქვთ და გაფართოებული კვლავნარმოების შესაძლებლობები არ გააჩნიათ.

სახელმწიფოს მიზნობრივი პროგრამა „ჩაი“ ითვალისწინებს, რომ ქართულმა ჩაიმ პირველ რიგში ადგილი უნდა დაიმკიდროს შიდა სამოხმარებლი ბაზარზე, რათა ჯანსაღი კონკურენციის გზით მინიმუმადე შემცირდეს ჩაის იმპორტი, რომლის მიღწევაც შესაძლებელი გახდება პირველ რიგში იმპორტირებულზე მაღალ ხარისხისა და შედარებით იაფი პროდუქციის მოხმარებლისათვის სტაბილური მიწოდებით. ამასთან, ქართული ჩაი ფართოდ უნდა იქნეს ნარმოდგენილი საერთაშორისო გამოფენებზე, დეგუსტაციებზე, პრეზენტაციებზე და საერთოდ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მისი უპარატულესობების რეკლამირებას. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება ფალსიფიცირებული, სინთეზური საღებავებით შეფერილი ჩაის შიდა ბაზარზე შემოღიერების საწინააღმდეგოდ, რომელიც გარდა იმსა, რომ დაუმსახურებელ კონკურენციას უწევს ადგილობრივ ნაწარმს, მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას მეჩაიერბის დარგის შენარჩუნების პრობლემა. არადა, ამ რენტაბელური დარგის მარტო შენარჩუნება კი არა, შემდგომი განვითარება-გაფართოებაა საჭირო; სოფელს საიმედო შემოსავლის წყარო კვლავ რომ გაუჩნდეს, საჭირო და განვითარება-გაფართოება არ გააჩნიათ.



რომ ჩამოყალიბდეს რეალურად გააზრებული სამოქმედო პროგრამა, რომელიც პრატიკულად მიესადაგება შექმნილ ვითარებას და მეცნიერულად სწორად განსაზღვრავს ხვალინდელი დღის პერსპექტივას ყველა იმ არსებითი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც განვლილი პრატიკით და ცხოვრების დღევანდელი პირობებით არის ნაკარნახვევი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის წარმოების პროცესების გაუმჯობესებას: გაველურებული პლანტაციების აღდგენას, ახალი პლანტაციების გაშენებას, ჩაის მოვლა-მოყვანა-გადამუშავების პროცესების მექანიზაცია-ავტომატიზაციას, მზა პროდუქციის დაფასოებას და რეალიზაციას. უნდა აღდგეს ჩაის წარმოების მანქანური ტექნოლოგია, ჩაის სასხლავ-საკრეფი, მობილური და მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების წარმოება. მეჩაიერბაში, დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო მისაღებია მცირეგაბარიტიან მანქანათა კომპლექსის გამოყენება. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია – შექმნა სოფლის მუშაობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის ვრცელი სამუშაო პროგრამა აღნიშნული სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებს.

განათლებისა და მეცნიერების სისტემაში 2005-2012 წლებში ჩატარებულმა რეფორმებმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინეს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების საქმიანობაზე. საკავშირო მნიშვნელობის ინსტიტუტები: ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, რომლებშიც მუშაობდნენ, სწავლობდნენ და კვალიფიკაციას იმაღლებდნენ მეჩაიერბისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ნარმოების სპეციალისტები, ფაქტობრივად გაუქმებულ იქნა, რამაც განაპირობა ამ დარგის სპეციალისტების უკმარისობა. დღეისათვის საჭიროა მეჩაიერბაში და ზოგადად სოფლის მეურნეობაში დაკავებული სპეციალისტების და მოსახლეობის ცოდნის ამაღლება. ამ მიმართულებით აუცილებელია გააქტიურდნენ აგრარული დარგის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებები. გარდა ამისა, უნდა შექმნას სოფლის მეურნეობის საკითხებზე ცოდნის გამავრცელებელი სტაბილური სისტემა, რომელშიც ჩართული იქნება სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან ფართო ტექნიკური შესაძლებლობებით, ცოდნით და გამოცდილებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, დაჩატარებული ტემპით უნდა მოხდეს მეჩაიერბის აღდგენა და შემდგომი განვითარება, ვინაიდან ის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დასაქმების და ფულადი შემოსავლების პერსპექტიულ წყაროს წარმოადგენს. პარალელურად მეჩაიერბა ქვეყნისათვის ეკონომიკური გაძლიერების და თანამედროვე საერთაშორისო საბაზრო სივრცეში დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გახდება.

**მომავალი განვითარების სისტემის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;**

**თენავით სამუშაო, ჩაის წარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;**

**ნებართვის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი**

ვაგრძელებით საქართველოს სოფლის მიურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერთებული „საკვები კულტურული აგროტექნიკის“ პრეზენტაცია.

# საკვები კულტურული მოვლა-მოყვანის კონფერენცია

გაგრძელება, დასახური № 7-8

## ნაწილი III

### მათესლეობა

ყველა ფერმერმა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებულმა პირმა სასურველია აწარმოოს მრავალნივანი ბალახების მეთესლეობა იმ ანგარიშით, რომ დაიკამაყოფილოს თავი საკუთარი წარმოების თესლით;

საკუთარ მეურნეობაში მოყვანილი თესლი უფრო კარგადაა შეგუებული ადგილობრივ პირობებს და მეტ მოსავალს იძლევა. ამდენად ადგილობრივი წარმოშობის ჯიშებსა და პოპულაციებს ან ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებულ ჯიშებსა და სახეებს უნდა მიეცეს უპირატესობა;

მრავალნივანი ბალახების თესლი შეიძლება დამზადდეს როგორც ცალკე მოწყობილი სათესლე ნაკვეთებიდან, ისე წინა წლებში დათესლი ბალახნარევის ან სუფთა ნათესების საერთო ფართობებზე გამოყოფილი სათესლე ნაკვეთებიდან, სადაც ბალახნარი წორმალური დგომისაა, მცენარეები კარგადა განვითარებული და არაა დაზიანებული მავნებლებით და საკარანტინო სარეველებით;

მმრალი და გვალვიანი ადგილების ურნებელი თხლად ნათესი მრავალნივანი ბალახები მეტ თესლს იკეთებს, ამიტომ ასეთ ადგილებში და ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილი ნიადაგების სათესლე ნაკვეთებზე თესლის მოყვანა შეიძლება მოწყობის ფართომნირიგიანი ნათესებიდან. ფართო მნიშვნელოვანი სათესლების თესვა დასაშვებია სხვა პირობებშიც, როდესაც მეურნეობაში თესლი მცირე რაოდენობითაა და საჭიროა მისი სწრაფი გამრავლება;

თუ სათესლე ნაკვეთები გამოყოფილია სამეურნეო ნათესებიდან, მასზე უნდა ჩატარდეს ნათესის მდგომარეობის მიხედვით დამატებითი ღონის-

ძიებები (მარგვლა, სასუქების შეტანა და სხვა);

სათესლეების მოსაწყობად ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა და თესვისწინა დამუშავება წარმოებს იმავე წესით, როგორც საფურაუე ნათესებზე, მაგრამ ძირითადი სასუქებიდან უმჯობესია გამოყენებული იქნას გრანულირებული სასუქები, პირველ რიგში გრანულირებული სუპერფოსფატი. გრანულირებული სუ-

არაა. საქართველოში გავრცელებული ნიადაგების ძირითადი ტიპების მიხედვით მრავალნივანი ბალახების სათესლე ნაკვეთებზე დამატებითი გამოკვების დროს შეიტანება განსაზღვრული რაოდენობის სასუქები (ცხრილი 4).

მრავალნივანი ბალახების სათესლე ნათესების გამოკვება მინერალური სასუქებით, ნიადაგის ტიპების მიხედვით (ც/ჰა-ზე).

### ცხრილი 4.

მრავალნივანი ბალახების სათესლე ნათესების გამოკვება მინერალური სასტატი, ნიადაგის ტიპების მიხედვით (ც/ჰა-ზე).

ნათესის თესლებიდან სარგებლობის წელი	ენერო ტიპის ნიადაგებზე			ნაბლა და ყავისფერ ნიადაგებზე			ალუვიურ (დანალექ) ნიადაგებზე		
	ჟენერული	სუპერფოსფატი	კალიკროდი	ჟენერული	სუპერფოსფატი	კალიკროდი	ჟენერული	სუპერფოსფატი	კალიკროდი
პირველი	3,00	2,50	1,00	2,50	1,50	0,75	2,00	1,50	0,50
მეორე	3,50	2,75	1,50	3,00	2,25	1,25	2,50	2,00	0,75
მესამე	4,00	3,00	2,00	3,50	3,00	1,50	3,00	2,50	1,25

პერფოსფატი ან ორგანულ-მინერალური სასუქე (30% სუპერფოსფატი-სა და 70% ორგანულ ნივთიერებათა თანაფარდობით) შეტანილი უნდა იქნეს ძირითადი ხენის ან კულტივაციის დროს 2 ც/ჰა-ზე, თესვის დროს კი ერთი ცენტრერი, სულ 3 ც/ჰა-ზე;

მრავალნივანი მარცვლებულ და

პარკოსან ბალახებს საკვები ნივთიერება ყველაზე მეტი რაოდენობით სჭირდება ბარტყობისა (პარკოსნების დაბურებების) და თესლის ჩასახვის დროს. ამის გარდა, კალიუმი ხელუწყობს მწვანე ნაწილების განვითარებას და აძლიერებს ზამთარგამძლეობას. ამიტომ ახალგაზრდა ნათესები უნდა გამოიკვებოს ადრე გაზაფხულზე და მოსავლის ალებისთანავე. მარ-

ცვლოვანი ბალახების სათესლე ნაკვეთებზე პირველ რიგში გამოყენებული უნდა იქნეს აზოტიანი სასუქები. პარკოსანი ნაკვეთების აზოტიანი სასუქებით გამოკვება აუცილებელი

შენიშვნა: ამონიუმის გვარჯილის გამოყენების შემთხვევაში შესატანი დოზა უნდა შემცირდეს 1/3-ით. ეს დოზები მიახლოებითად და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს ადგილობრივი პირობების მიხედვით და ნიადაგის გაულტებულების დონის მიხედვით.

გამოკვების დოზის ნახევარი, როგორც წესი, შეტანილი უნდა იქნეს აღრე გაზაფხულზე, ხოლო მეორე ნახევარი – მოსავლის აღებისთანავე. მეორე გამოკვება ტარდება თესლის აღებისთანავე წამონაზარდის გამოწენაში; სასუქების შეტანის შემდეგ ნაკვეთი მაშინვე უნდა დაიფარცხოს, სარწყავი ნაკვეთები კი დაფარცხვის შემდეგ მოირწყოს.

მინერალური სასუქების ნაკლებობის ან უქონლობის შემთხვევაში მრავალნივანი ბალახების სათესლეები უნდა გამოიკვებოს ნაკელით ან წუნებულით; წუნებულის დოზა განისაზღვრავად და სამართლებულის მიხედვით;

რება მასში აზოტის შემცველობით და გადაიანგარიშება შესატანი აზოტის დოზის მიხედვით. ერთ ლიტრ წუნუ- წუნუხზე აიღება 4-5 ლ. წყალი;

სათესლების გამოკვების დროს გამოყენებული უნდა იქნას კარგად გადამწვარი ფხვიერი ნაკელი - 3-4 ტ/ჰა-ზე. შეიძლება გამოყენებული იქნას ნახევრად გადამწვარი ნაკელი, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო იქნება შესატანი დოზის გადიდება. ნაკელის შეტანის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის თანაბარ განანილებას.

სათესლებში სარეველების გამოჩენისთანავე უნდა ჩატარდეს ქიმიური ან ხელით მარგვლა, ხოლო თუ სათესლები ფართო მწკრივთაშორისებით არის დათესილი - კულტივაცია. ფართო მწკრივთაშორისებით ნათესში კულტივაცია ტარდება აღმონაცენის მწკრივების გამოჩენისთანავე და გრძელდება ვეგეტაციის განმავლობაში საჭიროების მიხედვით. კულტივაცია ტარდება თესლის მოსავლის აღების შემდეგაც, რათა მეორე წლისათვის ნაკელი არ დასარევლიანდეს;

მრავალწლოვანი ბალახების თესლის მაღალი მოსავლის მიღების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს დამატებით დამტვერიანებას. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი მცენარეების თესლის მოყვანის დროს, როგორიცაა იონჯა, სამყურადა ესპარცეტი. ამ მოსაზრებით, მრავალწლოვანი ბალახების ყვავილობის დაწყებამდე, თუ საშუალება იქნება, საფუტკრეები აუცილებლად უნდა იქნას გადატანილი. სათესლებზე დამტებითი დამტვერიანება ყვავილების შერხევითაც შეიძლება ჩატარდეს, განსაკუთრებით ლურჯი იონჯის სათესლებზე. ამ სამუშაოს ჩატარებლად ორი მუშა გაჭიმული თოვით სათესლე ნაკელზე გაივლის და თოვის გამოდებით ყვავილებს შეარხევს. დამატებითი დამტვერიანება ტარდება 2-3 ჯერ და 1-2 დღის შუალედით. ხელოვნური დამტვერიანება ტარდება მასობრივი ყვავილობის დროს წყნარ ამინდში, როდესაც მცენარე ნამისაგან გაშრება. დამტვერიანება უნდა ჩატარდეს დილით ან საღამოთი იმის მიხედვით, თუ რომელი კულტურა რომელ საათებში მეტად ყვავილობს;

მრავალწლოვანი ბალახების ცალკეული კულტურების მეთესლეობას ზოგიერთი თავისებურება აქვს.

### იონჯა:

იონჯის თესლის მაღალი მოსავლის მიღება სათანადო აგროტექნიკური ხერხების გამოყენებით დიდ სიძლიერეს წამოადგენს.

სათესლე იონჯისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის შერჩევას, რადგან ნიადაგურ პირობებზე და ტენიანობაზე ძირითადად დამოკიდებულია იონჯის ჩანოლის სიძლიერე; რამდენადც მეტად ნაყოფიერია ნიადაგი, იმდენად მეტად იცის იონჯამ ჩანოლა. ამის გამო სათესლე იონჯისათვის უმჯობესია გამოიყოს საშუალო ნაყოფიერების, უფრო მსუბუქი შემადგენლობის, მაგრამ ღრმა ნიადაგიანი ან შედარებით ნაკლები ნაყოფიერების მინები, რომელიც სათანადოდ იქნებიან განმიირებული მინერალური და ორგანული სასუქებით. საფურაუ



ნათესებიდან კი სათესლე ნაკელთად გამოიყოფა ისეთი ნაწილი, სადაც ჩანოლის საშიშროება არ არის;

სათესლე იონჯა შეიძლება დაითესოს როგორც ჩვეულებრივი წესით, ისე ზოლებრივად (60X15 სმ). ასეთი წესით ნათეს იონჯაში მცენარის ზრდა-განვითარებისათვის პირობები უკეთესია. ზოლებრივი თესვა უნდა ჩავატაროთ მხოლოდ სარეველებისაგან სუფთა ნაკელთა შეიძლება. ასეთი წესით თესვის დროს თესვის ნორმა 4-6 კგ/ჰა-ს არ აღემატება. წლის განმავლობაში საჭირო იქნება რიგთაშორის 2-3 კულტივაციის ჩატარება;

სათესლე იონჯის ნაკელთი მავნებლებისაგან დაცვის მიზნით დაშორებული უნდა იყოს იონჯის ძეგლი ნათესებიდან არანაკლები 250-300 მეტრით. სათესლე იონჯა, საკვები მიზნით ნათესებისაგან განსხვავებით, საჭიროებს ზომიერ მორნჟის. გარდაბნის ველზე და სხვა ასეთივე პირობებში საკმარისი იქნება სამი სავეგეტაციო რწყვა ადრე გაზაფხულზე, მასობრივი ყვავილობის დასაწილი და თესლის რძისებრ სიმწიფის დასაწყისში. მუხრანისა და ტირიფონის ველზედაც საჭირო იქნება დაახლოებით ამდენვე რწყვა, მაგრამ წვიმიანი გაზაფხულის პირობებში შეიძლება ორი რწყვის მეტი არ დასჭირდეს. აღნიშნულ ადგილებში ქვიშანარ და ხარხატიან ნიადაგებს რწყა მეტი არ დასჭირდება. საერთოდ სათესლე იონჯის მორნჟის საჭიროებისა და დროის შერჩევისათვის დიდი სიფრთხილე და გამოცდილებაა საჭირო, ამიტომ ეს საქმე ცალკე ნაკელთებისა და ზონების მიხედვით აგროპერსონალის მიერ უნდა დაზუსტდეს;

დ) ზაფხულის ბოლოს და შემოდგომით დათესილი იონჯის ნათესებიდან სათესლედ უმჯობესია გამოყენებული იქნას სარგებლობის პირველი წლის გათიბვა, გაზაფხულის ნათესებიდან - სარგებლობის მეორე წლის გათიბვა. ძველ ნათესებში თესლი აიღება პირველი გათიბვიდან, მაგრამ თუ მცენარეები დაავადდა, მავნებლები ძლიერ მოედო და წამლობა არ შველის ან ძლიერი ჩანოლაა მოსალოდნელი, მაშინ თესლი აიღება მეორე გათიბვიდან იმ პირობით, რომ პირველი გათიბვა საკელად ჩატარდეს ნაადრევად დაკოკრების დასაწყისშივე;

ე) იონჯის თესლის მოსავლის აღება ინყება იმ დროს, როცა პარკების ორი მესამედი (60-75%) გამუქდება, თესლი მიიღებს მოყვითალო ფერს და გამაგრდება. კომბაინით მოსავლის აღება წარმოებს მოგვიანებით, როცა პარკუჭების 80-90% გამუქდება.

იონჯის თესლის მოსავლის აღება ყოველთვის უკეთესია გაყოფის წესით. თუ ამის შესაძლებლობა არ გვაქვს, მაშინ მისი აღება შეიძლება პირდაპირ კომბაინითაც. თესლის აღება შეიძლება ასევე ნამღლით და ცელით, მხოლოდ ორივე შემთხვევაში უნდა შეიკრას პატარა კონებად (20-25 სმ დიამეტრით) და დაიღვას

ათეულებად. თუ იონჯას ბევრი მწვანე მასა აქვს და საჭიროებს გაშრობას, მაშინ 4-5 კონა ერთად დაიდგმება და გამოშრება. ზოგჯერ ამზნდის მიხედვით კონები დღეგამოშვებით უნდა შებრუნდის;

სხვადასხვა ჯიშისა და რეპროდუქ-  
ციის სათესლე იონჯა ცალ-ცალკე  
უნდა გაიზიდოს, დაიდგას, გაილენოს  
და თის გადასახლების მიზანისას;

სათესლე იონჯილის მოსავლის აღება,  
გამოზიდვა, ძირების დაღვგმა, ლენ-  
ვა და გამოფშვნა სამყურას თესლის  
საფშვნელი მანქანით ერთიმეორის  
მიყოლებით წარმოებს და მთავრდება  
ერთი კვირის განმავლობაში;

ონჯესის თესლის განმენდა და დახარისხება წარმოებს თესლის დასახარისხებელი და სანმენდი მანქანებით. პპრემუმის თესლის მოსაცილებლად გამოიყენება ელექტრომაგნიტური დანადგარი. როდესაც მოსავალი დიდი არ არის და მეურნეობას არა აქვს შესაფერისი მანქანები, საჭიროა ხელის ცხრილების შერჩევით და განიკვებით თესლის კონდიციამდე აყვანა.

სამყრელი:

ნითელი სამყურას თესლი არათა-  
ნაბრად შემოდის და შემოსული თა-  
ვაკებიდან თესლი ადვილად ცვივა.  
მოსავლის აღებისთანავე საჭიროა  
სათესლე ნაკვეთის ხშირი დათვალი-  
ერება. ნითელი სამყურას მოსავლის  
აღება იწყება მაშინ, როდესაც მომ-  
ნიფდება (გამუქდება) თავაკების 70-  
75%, ვარდისფერი და თეთრი სამყუ-  
რას 50-60% და ხელზე გამოზღვნის  
დროს ადვილად ცვივა გამაბგრებული  
და პრიალა თესლი. მოსავლის აღება  
ნარმოებს როგორც მანქანა-იარაღე-  
ბით, ისე ნამგლით და ცელით იმავე  
პირობების დაცვით, რომლებიც მი-  
თითებული იყო იონჯისათვების;

ა) ადგენული სათესლე სამყურა 1-2  
დღით უნდა დაიდგას გასაშრობად  
პატარა ბულულებად; ტენიან რაიო-  
ნებში, წვიმის დროს ძნების (კონების)  
გამოშრობა წარმოებს ფარდულებში  
ხარისხზე ან სხვენზე. მოსავლის გა-  
სალენად გამოიყენება სპეციალური  
სალენი ან სათანადოდ მოწყობილი  
ხორბლის სალენი მანქანები. პარკუ-  
ჭების გამოფენა უნდა ჩატარდეს  
სამყურას ოესლის საფუძვნელ მანქა-  
ნაზე და შემდეგ გაიმინდოს და და-  
ხარისხდეს. ოესლის საწმენდ-სანია-  
ვებლებზე სათანადო ცხრილების გა-  
მყინვავით; თუ გამორჩეულ თესლს

აპრეშუმა ურევია, იგი უნდა გატარ-  
დეს მაგნიტური მოწყობილობის მან-  
ქანებში;

ბ) წითელი სამყურას თესლი აიღება ზაფხულის ბოლოს და ადრე შემოდგომის ნათესებიდან სარგებლობის პირველი წლის პირველი გათიბვიდან, გაზაფხულის უსაფარო ნათესებიდან კი სარგებლობის მეორე წლის პირ-



ველი გათიბვიდან, ხოლო საფარქვეშ  
ნათესებიდან – სარგებლობის პირვე  
ლი წლის პირველი გათიბვიდან. წი-  
თელი სამყურას თესლის მოსავალი  
ძალიან მცირდება მავნებლის – სამყუ-  
რას ცხვირგრძელას გავრცელებით,  
ამისათვის, თუ რომელი (პირველ და  
მეორე) გათიბვიდან მიიღება თესლი,  
უნდა გადაწყდეს ამ მავნებლის მა-  
სობრივი გამრავლების ვადების გათ-  
ვალისწინებით.

විකාරයෙහි

ა) ესპარცეტი კარგად ხარობს თით-ქმის ყველა ნიადაგებზე, უკარბო-ნატო ნიადაგების გარდა, მხოლოდ იგი უნდა იყოს წყალგამტარი ქვენი-ადაგით; ოონჯისა და სამყურასაგან განსხვავებით, ესპარცეტმა ჩვეულებრივად არ იცის ჩანთლა, მაგრამ სარწყავებში მაღალი ნაყოფიერების ნიადაგებზე ზოგჯერ ჩანთლა მოსა-ლოდნელია;

ბ) ესპარცეტის თესლის აღება წარმოებს მეორე და შემდგომი წლების ნათესებიდან, მაგრამ პარის სარწყავა-ვებში – ზაფხულის ბოლოს. ადრე შემოდგომის ნათესი ესპარცეტიდან შეიძლება თესლის აღება სარგებლობის პირველი წლიდანაც. თესლი აიღება პირველი გათიბვიდან, რადგან პირველი გათიბვის შემდეგ წამოზრდილი ესპარცეტი სანაყოფო ღეროებს ნაკალიანი კონკრეტული:

გ) ესპარცეტის თესლი თანაბრად  
არ შემოღის. მცენარის ქვედა იარუ-  
სის თესლი ადრე მწიფდება, ზევითა  
უფრო გვიან, დამწიფებული თესლი

ადვილად ცვივა და ამიტომ მოსავალი  
აღებული უნდა იქნას იმ დროს, რო-  
დესაც მტევანში ნაყოფის ერთი მესა-  
მედი მორუხო ფერს მიიღებს;

დ) ესპარცეტი უფრო მეტად (ცვე-  
ნადია, ვიდრე იონზეა და სამყურა,  
ამიტომ თესლის აღება უმჯობესია  
ორ ფაზად. თუ ამის შესაძლებლობა  
გვაქვს, მაშინ მოსავალი უნდა ავი-  
ლოთ კომბაინით. სადაც კომბაინის ან  
სხვა მანქანების გამოყენება შეუძლე-  
ბელია, მოსავალი აიღება ნამგლით ან  
ხელით. თესლის ჩაცვენის თავიდან  
ასაცილებლად ესპარცეტი უნდა მო-  
იქას ან გაითიბოს დილით. მოსავლის  
გადაზიდვის დროს გამოყენებული  
უნდა იქნას საფენი. გალენვა ხდება  
ხორბლის სალენი მანქანებით, ხო-  
ლო თესლის განმენდა-დახარისხება  
სხვადასხვა მარკის სანიავებლებისა  
და დამხარისხებლების საშუალებით.

ე) ესპარცეტის ახლად აღებული  
თესლი ხშირად ჩახურდება ხოლმე,  
ამიტომ თესლი შენახული უნდა იქნას  
მხოლოდ და მხოლოდ კარგად გაშ-  
რობისა და დახარისხების შემდეგ არა  
უმეტეს 1,0 მეტრის სიმაღლის ფენად,  
რადგან ჩახურების გამო თესლი კარ-  
გავს აღმოცენების უნარს. როდესაც  
ესპარცეტის თესლის გროვა სქელად  
არის დაყრილი, მაშინ ორ-სამჯერ  
ტემპერატურას ამონმებენ; თუ ტემ-  
პერატურამ აიწინა, თესლი მაშინვე



უნდა გაიშალოს 20-25 სმ სისქეზე,  
განიავდეს და ხშირად აირიოს.

მრავალსატიპი და  
საძოვარი კოინდარი.

კონიდრებს dლიერი ცვენადობა  
ახასიათებს, ამიტომ მყარად უნდა  
იყოს დაცული მათი მოსავლის აღე-  
ბის გადა.

ჩვენი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ადრე შემოდგომით (15-20 სექტემბერი) დათესილი მრავალსათიბი კონინდარი წლის განმავლობაში თესლის ორ მოსავალს

იძლევა (12-14 ც/ჰა-ზე) და თანაც აგვისტოს პირველ ნახევარში ათავისუფლებს ფართობს. თესლის განსაკუთრებით მაღალი მოსავალი მიიღება სარგებლობის პირველი წლის პირველი გათიბვიდან. მეორე წელს თესლის მოსავალი მკვეთრად მცირდება (3-4 ც/ჰა), ხოლო სარგებლობის მესამე წელს მოსავალი 1-1,5 ც/ჰა-ს არ აღემატება. ამიტომ სათესლე მიზნით მრავალსათიბი კონინდარი უმჯობესია გამოყენებული იქნას მხოლოდ ერთი წლის სარგებლობით. თესლის მაღალი მოსავლის მისაღებად მრავალსათიბი კონინდარის ნათესებში გამოყენებული უნდა იქნას მინერა-

მრავალწლოვანი მარცვლოვანი ბალახების თესლის დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლის ოპტიმალურ და შემჭიდროებულ ვადებში აღებას. ზაფხულის ბოლოს და აღრე შემოდგომაზე ნათესი მრავალწლოვანი მარცვლოვანი ბალახების თესლის აღება უმჯობესია სარგებლობის პირველ წელს, გაზაფხულზე ნათესისას – მეორე წელს. კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში მრავალსათიბი კონინდარი ერთ წელში ორ მოსავალს იძლევა. სათესად ნაკვეთი უმჯობესია გამოყენებული იქნას ერთი წლის სარგებლობით.

### ცხრილი 5.

#### მრავალწლოვანი საკვები ჩალახების თესლის აღების დაწყების და დამთავრების ვადები

კულტურა	თესლის აღების დასაწყისი	თესლის აღების დამთავრება
საძოვრის კონინდარი	ცვილისებრი სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფის დასაწყისი
მრავალსათიბი კონინდარი	ცვილისებრი სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფის დასაწყისი
სათითურა	რძისებრი სიმწიფის დამთვარება	ცვილისებრი სიმწიფე
მდელოს წივანა	ცვილისებრი სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე

ლური სასუქები P90K30, ხოლო აზოტი N50 კგ. (მომქმედი ნივთიერება).

#### მდელოს ტიმოთელა, მდელოს წივანა და სათითურა.

სამივე კულტურა შემოსულ თესლს შედარებით კარგად იმაგრებს, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ შორის სხვაობა შეიმჩნევა – მდელოს წივანასა და სათითურას მეტი ცვენადობა ახასიათებს.

მრავალწლოვანი ბალახების თესლის მიღება წარმოქს ბალახნარევიდანაც. ამისათვის უნდა გამოიყოს ისეთი ბალახნარი, რომელიც არც ზედმეტად ხშირია და არც ძლიერ გამეჩერებული. პირველ შემთხვევაში იგი ჩანვება, ხოლო მეორე შემთხვევაში სარეველები მოედება. სათესლედ შეიძლება გამოიყოს როგორც ახალი, ისე ძველი ნათესები. სათესლე ნაკვეთის გამოყოფა წარმოებს შემოდგო-

მით ან გაზაფხულზე; უნდა ჩატარდეს შემდეგი დამატებითი ღონისძიებები: გამოკვება მინერალური და ორგანული სასუქებით, დაზამთრებამდე 3-4 კვირით ადრე დაფარცხება მსუბუქი ფარცხით ("ზიგზაგით") და სხვა. იმ შემთხვევაში, როდესაც კომპონენტები სათესლედ თითქმის ერთდროულად შემოდის, ერთად გათიბვით ორი ან სამი კომპონენტის თესლის მიღება საერთოდ დიდ უხერხულობას წარმოადგენს და თესლის მოსავალიც მცირდება. ამიტომ ბალახნარების ერთი გათიბვით მხოლოდ ერთი რომელიმე კულტურის თესლის მიღება უნდა ხდებოდეს;

გალენვის შემდეგ იონჯის და სამყურას თესლი პარკუტებიდან და თავაკებიდან გამოიფენას საჭიროებს, ამიტომ თესლის საბოლოოდ გამოსაცალკევებლად იგი გატარებული უნდა იქნას გამოსალენ მანქანაში მანამდე, სანამ მთლიანად არ გამოიფენება. თესლის კონდიციამდე ასაყვანად თუ შესაძებლობაა უნდა გამოიყენოთ სათანადო საწმენდა-დამხარისხებელი მანქანები შესაბამისი ცხრილებით.

შესანახი თესლის ტენიანობა უნდა დავიყვანოთ 14-15%-ზე, შევამოწმოთ, ჩავყაროთ ტომრებში, გავუკეთოთ ეტიკეტი და მოვათავსოთ მშრალ ადგილას. თესლის შენახვამდე უნდა ჩატარდეს შესანახი ადგილისა და ტარა – მასალის დეზინფექცია.

### გაგრძელება შემდეგ ნომერში



# ფურის წველის ტესების დაცვა - ხარისხის რძის მიზანის გარენტია

ოოცხალი სამყაროს განვითარების ხანგრძლივ პროცესში ფარმაცო-  
პილი ძუანამდევარა ცხოველები დაგადაგის შემდეგ აიროვლ პერიოდში  
დადგის რძით იკვებებიან, რომელიც მათი ნორმალური ზრდა-განვითარე-  
ბისათვის საჭირო ჯველა ინიციატივას შეიცავს, თანაც ადვილად ვისა-  
ვისებელი ფორმით.

კაცობრიობა უძველესი დროიდან ფართოდ იყენებს მის მიერ მოშინაუ-  
რებული სხვადასხვა სახეობის ცხო-  
ველთა რძეს. ადამიანის კვების რაცი-  
ონში განსაკუთრებული მნიშვნელობა  
ძროხის რძემ და რძის გადამუშავების  
შედეგად მიღებულმა პროდუქტებმა (ყველი, კარაქი, ნადული, მანონი, ხა-  
ჭო, არაჟანი და სხვა) მოიპოვა. რძე  
ბიოლოგიურად რთული შემადგენ-  
ლობის ხსნარია. იგი შეიცავს: წყალს  
- 87%-ს, ცხის - 4%-ს, პროტეინს -  
3.5%-ს, ლაქტოზას - 4.5%-ს, მინერა-  
ლურ ნივთიერებებს, ვიტამინებსა და  
სხვა მიკროელემენტებს. რძის გამო-  
მუშავება ხორციელდება ძუძუმწოვა-  
რი ცხოველების სარძევე ჯირკვლის  
მეშვეობით. რძე წყალზე ოდნავ ბლან-  
ტი, მოყვითალო-თეთრი ფერისა და  
თავისებური სუნის მქონე სითხეა. იგი  
უნდა ხასიათდებოდეს მოტკბო გემო-  
თი, არ უნდა გააჩნდეს სპეციფიკური  
უცხო სუნი (მაგ. სილოსის, საკვების,  
ნავთობპროდუქტების, ნაკელის, სა-  
რეცხი საშუალებების და სხვა).

რძის შემადგენლობას და მის თა-  
ვისებურებებს ფურის ჯიში განაპი-  
რობებს, საკვების ხარისხი და კვება,  
მოვლის პირობები, ლაქტაციის პერი-  
ოდი, მოძრაობა და მოციონი, წველის  
დრო და ხერხები, ცხოველის ასაკი,  
ცხოველის ჯანმრთელობის მდგომა-  
რეობა და სხვა. ნორმალურ პირობებ-  
ში ფურის ლაქტაციის ხანგრძლივობა  
300-305 დღეს გრძელდება. ხბოს მი-  
ღებიდან ფურის გამრობის დაწყე-  
ბამდე და აცრების ჩატარებიდან 7-10  
დღის განმავლობაში მიღებული რძე  
გადამუშავებას არ ექვემდებარება. დასახელებული დღეების გარდა მი-  
ღებული რძე ნორმალურია და მის-  
გან მაღალხარისხიანი პროდუქტები  
მზადდება.

წველა - ერთ-ერთი ყველაზე პა-  
სუხსაგები და შრომატევადი საწარ-  
მოო პროცესია. წველისას სანიტა-  
რულ-ჰიგიენური და ტექნოლოგიური  
მოთხოვნების დაცვაზე არის დამოკი-  
დებული წარმოებული პროდუქტის  
სარისხი და კეთილსამეფონბა, აგ-  
რეთვე თავად ცხოველისა და მწველა-  
ვის ჯანმრთელობის მდგომარეობა.  
წველის დაწყებამდე წყდება საკვების  
მიღება, ნაკელისა და დაბინძურებუ-  
ლი საფენისაგან სუფთავდება სად-  
გომი, იღება კარები, შენობა ნიავდე-  
ბა. განსაკუთრებული ყურადღება  
ექცევა ფურის დასუფთავებას. ინ-  
მინდება მუცლის არე, ცური და უკანა  
ნანილი. ცური უნდა გაინმინდოს და  
გამშრადება სუფთა ხელსახოცით,  
მწველავმა უნდა დაიცვას პირადი ჰი-  
გიენის წესები, ჩაიცვას სუფთა ხალა-  
თი, თავზე გაიკეთოს თავსაბურავი,  
წველის დაწყების წინ საპნით და თბი-  
ლი წყლით დაიბანოს ხელები. საწვე-  
ლი ვედრო ირეცხება ცხელი წყლით.  
ცურზე წასასმელად იყენებენ უმა-  
რილო კარაქს ან მალამოს. ფური უნ-  
და მოიწველოს ყოველთვის ერთ და  
იმავე დროს, რათა გამოუმუშავდეს  
პირობითი რეფლექსი. წველის დროს  
ფურს არ ეძლევა საკვები. აღნიშნულ  
პროცესში არ არის სასურველი ცხერ  
პირის დასწრება. წველის პროცესი  
უნდა წარიმართოს მშვიდ გარემოში.  
წველის დაწყებამდე და დამთავრების  
შემდეგ ტარდება ცურის მასაჟი. რო-  
ცა ფური ისვენებს და იატაკზე წევს,  
დვრილების საშუალებით მიკრობე-  
ბი ცდილობენ ცურში შეჭრას. მათი  
უმეტესი ნაწილი იხოცება, რის გა-  
მოც პირველი მონაცელის რამდენი-  
მე წვეთი სასურსათოდ არ უნდა იქნას  
გამოყენებული. დაუშვებელია რძის  
პირველი წვეთების იატაკზე ჩამოწვე-



ლა. ფურის წველა ტარდება ენერგი-  
ულად, შეუსვენებლად და სწრაფად.  
წველამდე აუცილებელია ცხოველის  
კუდი მიბმული იქნას ერთ-ერთ უკანა  
კიდურზე, ვინაიდან მისი მოძრაობი-  
სას შესაძლებელია ვედროში ჭუჭყის  
მოხვედრა. წველა უნდა დამთავრ-  
დეს 5-7 წუთში. არ უნდა დარჩეს რძის  
მცირედი ნაწილიც კი, რადგან ბოლო  
წვეთები ყველაზე მეტი რაოდენობით  
შეიცავს ცხიმს, რაც გავლენას ახდენს  
რძის საერთო ცხიმისნობაზე.

მაღალხარისხიანი რძის მისადე-  
ბად ყველა ჩამოთვლილი პირობების  
დაცვა აუცილებელია. რძის სისუფ-  
თავის დაუცველობა ეკონომიკურ  
ზარალს აყენებს უშუალოდ რძის  
მწარმოებელს. რძის რაოდენობრივი  
მაჩვენებლების ამაღლებაზე მნიშვ-  
ნელოვან გავლენას ახდენს ფურის  
წყლით უზრუნველყოფა. ფურისთვის  
საჭიროა ისეთივე ხარისხიანი წყლის  
მიღება, როგორითაც ადამიანი და-  
სალევად სარგებლობს. წყლიდან  
შეიძლება გავრცელდეს ფასციოლო-  
ზი და სხვა დაავადების გავრცელება  
შესაძლებელია მოხდეს მწველავის  
მიერ, თუ ის არ იცავს შრომის პირო-  
ბებს. არაჯანსაღი რძიდან შეიძლება  
გავრცელდეს ისეთი საშიში დაავა-  
დებები, როგორიცაა: ბრუცელოზი,



ტუბერკულოზი, თურქული და სხვა. რძის მიღება, მისი დახარისხება და დამუშავება ოჯახურ ფერმერულ პირობებში მიმდინარეობს დაბალ დონეზე. ჯერ კიდევ ყველგან არ არის შექმნილი სათანადო პირობები რძის

ნორმალური მიღებისა და გადამუშავებისათვის, რამაც შეიძლება ადამიანთა დასწეულება გამოიწვიოს. მიზანშეწონილია შეიქმნას სოფლად რძის მიმღები და გადამამუშავებელი პუნქტები ყველა აუცილებელი პი-

რობების დაცვით, სადაც შესაძლებელი იქნება რძის ორგანიზებული შეგროვება და დახარისხება, ასევე ცხიმიანობის, სიმკვრივის, მუავიანობის, მექანიკური დაჭუჭყიანების და რძის ხარისხის დადგენა. ჯანსაღ და სუფთა რძეს პასტერიზება არ სჭირდება, მისი გადამუშავება შეიძლება გაცხელების გარეშე. დაავადებებზე საეჭვო და არასაიმედო ადგილიდან მიღებული რძე 70-90°C-მდე უნდა გათბეს, რის შედეგად უარყოფითი მიკროფლორა იღუპება. ასევე მნიშვნელოვანია სანიტარული ღონისძიებების პერიოდულად ჩატარება. კერძოდ, ფერმის შენობა-ნაგებობებისა და გარე ტერიტორიის გულდასმით დასუფთავება.

**ცულიძე გმრიძი,**  
აჭარის ა/რ სოფლის  
მეურნეობის მინისტრის მოადგილე,  
ვეტერინარიის მუცნიერებათ  
აკადემიური დოკტორი


## აგრიზონადი

### კონკრეტულ ურად:

3. შრომის იარაღი; 7. ჩამოცვენილი ფოლებისა, თუ სხვა ორგანული ნარჩენების ლპობის შედეგად გაჩენილი ნიადაგის ტიპი, იგივეა, რაც ჰუმუსი;
9. საქართველოში გავრცელებული კივის ჯიში;
12. საქართველოში გავრცელებული საჭმელი სოკო;
14. საქართველოში გავრცელებული ამერიკული ღია ყავისფერი, მონითალო შეფერილობის ლორის ჯიში;
15. ყველის კვეთის ერთ-ერთი ხალხური სახელი;
17. ხორბლის ქართული ჯიში;
18. მდინარე ქალაქ კასპში;
19. გურიის სოფელი, სადაც მზადდება კევერები;
20. ქართული ნარმოშობის რძის პროდუქტი;
21. ჩურჩხელა დასავალეთში;
23. ტყავისაგან დაწნული ერთგვარი ღვედი, რომელიც მობმულია გუთანზე.

### ვერტიკალურად:


1. კახური თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში;
2. ხეხილის შტამპის სოკოვანი დაავადება;
4. საქართველოში გავრცელებული ვაშლის გერმანული ჯიში;
5. საქონლის დაავადება;
6. სპეციალურად გამოყვანილი ღორის ხორცი რაჭაში;
8. წყალსაცავი თიანეთში;
10. ღვინის ბოთლების საკოლექციო საცავი;
11. საქართველოში გავრცელებული მდინარის თევზის ჯიში;
13. განთქმული კახური თეთრი ღვინო;
14. მინის ნაკვეთის საზომი ერთეული 1900-იან წლებში;
16. ცხვრის თუშური ყველი;
22. ხორციანი შეკვრა ყანაში.



### ნინა ნომერში გამოქვეყნებული პასუხები

**პირიზონტალურად:** 1. ნითელმინა. 2. ღოლი. 5. ნიყვი. 6. ბათუმელა. 11. იონჯა. 12. ჭანგა. 13. ხევსურული. 14. ხაზარულა. 16. შილდური. 18. მახა. 19. ცრუფარიანა. 21. აბრეშუმა. 22. ნაცარა. 23. ნიპნა.

**ვერტიკალურად:** 1. ნიფელი. 3. ფიტონი. 4. ვარდისუბანი. 7. ჭაპანი. 8. თეთრულა. 9. სავარგული. 10. შველისურა. 15. კეხურა. 17. დეკა. 20. ფოცხი.



# „ლომება ლომთაგორა“

## გთავაზონები

ეართვის სალეპციონერის მიერ გამოყვანილ და ადგილობრივ კლიენტურ პირობებთან შეგუებულ ეართული ხორბლის უსვეოსავლიან ინფერიურ ჯიშებს საქართველოს ყველა რეგიონისთვის!

## კირქვის რეარმიდუების საუკეთესო ეართული ხორბლის თესლი

ხორბლის თესლი	ლომთაგორა
თესლის გაღივინის უნარი	მინ. 90% – მაქს. 97%
1000 მარცვლის წონა	მინ. 40 გრ. მაქს. 50გრ.
სისუჟოთავი (პირზური 1000 გრამიდან)	მინ. 90% – მაქს. 100%
მისამართულ დაზიანებულ გარცვალთა რაოდენობა	მინ. 0,01 – მაქს. 3%
ტენი	მინ.8/0% – მაქს.13%
სარეველას თესლი	მაქს. 0.1%
ინერტული მასალის შემცველობა	მაქს. 1%
სხვა მცენარეული კულტურის სათასლი მასალები	მაქს. 0.01%
სარეველას თესლი	მაქს. 0.01%

სათასლე გასალა დამუშავებულია ფუნგიციით და გასუზითავებულია საკარანტინო გავრცელებისას

სათასლე გასალა ზაფუთულია 25 და 50 კილოგრამიან პოლიაროპილენის პარაგვაზი შესაბამის ეფიკაციით.

ხორბლის თესლის სარისების სტანდარტი შემოვიდული და დამტკიცებულია „აგრო სამსახური კულტურის ლომთაგორას“ ექსპერტების მიერ.



საქართველო, მარნეულის რაიონი, შპს. „ლომება ლომთაგორა“

“FIRM LOMTAGORA” LTD, Georgia, Marneuli Region,

ტელ.: (+995 91) 20-25-25

[www.lomtagora.com](http://www.lomtagora.com); E-mail: [info@lomtagora.com](mailto:info@lomtagora.com)

# WORLD TECHNIC

## მსოფლიო ტექნიკა



[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) info@worldtechnic.ge

☎ 2 90 50 00 2 18 18 81

სასოფლო-სამურნეო ტექნიკასა და  
ტექნოლოგიების მომღერალი ლიდერი კომპანია!



*Challenger*



*seppi m.*



*SCHULTE*

